სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე ხელისუფლებიდან მოდის A2

უფულოდ დარჩენილ "ბორჯღალოსნებს" სასტუმროდან ყრიან A6

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 20 სექტემბერი, 2003 წელი. №251 (463) — ფასი 30 თეთრი

სიას ისევ შევარდნაძე "დაწერს"

საქართველოს პრეზიდენტის თხოვნისა თუ მოთხოვნის მიუხედავად, სახელისუფლებო ბლოკში გაცხარებულმა კონსულტაციებმა შედეგი გუშინაც ვერ გამოიღო და ბლოკმა საქართველოს პრეზიდენტს არა თუ შეთანხმებული კვოტები, მაჟორიტართა შეთანხმებული სიაც ვერ დაახვედრა.

მაჟორიტარებთან დაკავშირებით განსაკუთრებულ უთანხმოებას ბლოკში თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატურის ვინაობა იწვევს. იმ პირობებში, როცა ოპოზიციას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი აქვს გამართული თბილისში ერთმანეთთანაც კი, გასაგებია, თუ რატომ არ იქნა გაზიარებული ბლოკის ლიდერების მიერ თბილისში მაჟორიტარებად კენჭისყრის ვანო ზოდელავასეული წინადადება. ამისთვის მათ არც საკადრო რესურსი ჰყოფნით და არც ფინანსური რესურსი ემეტებათ (თუმცა, გლდანში შარაძის და, როგორც ამბობენ - ვაკეში ფინანსთა მინისტრის აწ უკვე ყოფილი მოადგილის ლევან ჩრდილელის კენჭისყრის საკითხი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია).

ამიტომ, სახელმწიფო კანცელარიაში დღეისთვის დაგეგმილი სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსათვის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენა 23 სექტემბრისთვის გადაიდო. ამის შესახებ ჟურნალისტებს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ სახელისუფლებო ბლოკის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

სახელმწიფო მინისტრმა პრეზენტაციის გადადების მიზეზი არ დაასახელა, თუმცა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ **"ბლოკში არანაირი პრობლემა არ არსებობს და ყველაფერი შეთანხმებულია."**

შექმნილის სიტუაცია ცხადყოფს, რომ ამჯერადაც საქართველოს პრეზიდენტს, მიუხედავად წინასწარ გაცხადებული ინფორმაციისა იმის თაობაზე, რომ ედუარდ შევარდნაძე ასეთ დეტალებში არ ჩაერეოდა, საკუთარი ხელით მოუწევს ბლოკის სუბიექტების ვნებებისა და ამბიციების დაცხრობა.

24 საათი

"სოციალისტური" და იალტური ჯვარი აფხაზეთის თემაზე

მაშინ, როცა რუსეთის ძალისხმევით დსთ-ს სამიტზე აფხაზეთის საკითხზე მსჯელობა იბლოკებოდა, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი პარლამენტში ვაშინგტონი-მოსკოვი-თბილისის სამკუთხედზე საუბრობდა.

A2

ზურაბ ჟვანია: "ხელისუფლება სერიოზულად შეუდგა არჩევნების გაყალბების კამპანიას"

სოფო ბუკია

"მოვუწოდებ ოპოზიციურ ძალებს, თავი დაანებონ ერთმანეთთან კინკლაობას და საარჩევნო რეიტინგების გამო ნერვიულობას. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ხელისუფლება სერიოზულად შეუდგა არჩევნების გაყალბების კამპანიას, 2 ნოემბრის არჩევნებში იგი გასამხედროებული სამართალდამცველების და სხვა სპეციალური სტრუქტურების გამოყენებას შეეცდება," – "განგაში ატეხა" გუშინდელ ბრიფინგზე "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ.

ჟვანიას ინფორმაციით, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ ხაჟალიამ უკვე მოაწყო საკუთარ სტრუქტურაში საგანგებო თათბირი, სადაც ითქვა, რომ შს სამინისტრო არჩევნების პერიოდში სპეციალურ ყაზარმულ რეჟიმზე იქნება გადაყვანილი და ყველა პოლიციელი – დაახლოებით 40 ათასამდე ამომრჩეველი, პოლიციის განყოფილებებში, სპეციალურად გახსნილ საარჩევნო ურნებში ჩააგდებს საკუთარ ბიულეტენს. გარდა ამისა, ჟვანიას თქმით, პოლიციელები საკუთარ არჩევანს მაღალჩინოსან "პაგონიანთა" მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ გააკეთებენ.

გოგიტა ბახაიძის ფოტო

ჟვანიას იმედი აქვს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მისი ბლოკი მარტო არ აღმოჩნდება.

პოლიციელთა ბედი ელით სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში მომსახურეთაც. "ბურჯანაძე-დემოკრატების" ინფორმაციით, განსაკუთრებულ ზეწოლას განათლების სისტემაში მომუშავენი განიცდიან. **"ჩვენი ბლოკის მხარდამჭერ მასწავლებლებს უკვე დაემუქრნენ სამსახურიდან დათხოვნით,"** – აცხადებს ჟვანია. მისი თქმით, ხელისუფლების ზეწოლას განიცდიან რკინიგზის დეპარტამენტში მომუშავენიც.

მიუხედავად ოპოზიციურ პარტიებში "გამეფებული ისტერიული მდგომარეობისა", ჟვანიას იმედი აქვს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მისი ბლოკი მარტო არ აღმოჩნდება და მას სხვა ოპოზიციური ძალებიც დაუჭერენ მხარს.

„ხელმოწერა არ შედგება!„

სახელმწიფო კანცელარიის ოფიციალური განცხადება

გუშინ პარლამენტთან ათასობით ახალგაზრდამ საქართველოს მთავრობასა და ვატიკანს შორის შესაძლო ხელშეკრულების გაფორმების საწინააღმდეგო აქცია მოაწყო. როგორც აღმოჩნდა, მათ მეცადინეობას ტყუილად არ ჩაუვლია. ოთხი საათისთვის მეუფე ზენონი გამოჩნდა, რომელმაც სტუდენტებს აცნობა, რომ ხელშეკრულების გაფორმება არ შედგა.

თამარ დვალი

სტუდენტთა საპროტესტო აქცია დილის თერთმეტ საათზე უმაღლესი სასწავლებლებიდან დაიწყო და პარლამენტთან გაგრძელდა. ახალგაზრდები ვატიკანსა და საქართველოს შორის შესაძლო ხელშეკრულების გაუქმებას მოითხოვდნენ. პოლიტიკოსების სიმრავლის მიუხედავად, სტუდენტებმა სიტყვა არ მისცეს არც ერთი პარტიის წარმომადგენელს:

"ჩვენ არ გვინდა, რომ ეს აქცია წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი გახდეს და ამით პოლიტიკოსებმა ქულები დაიწერონ. აქ ჩვენი ქვეყნის და მართლმადიდებლობის დასაცავად გამოვედით და არა პოლიტიკური განცხადებების მოსასმენად, " – აცხადებდნენ ისინი.

ერთადერთი, ვისაც სტუდენტებმა მიკროფონი დაუთმეს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე იყო, რომელიც აქციის მონაწილეებს დაჰპირდა, რომ საქართველოსა და ვატიკანს შორის ხელშეკრულება აღარ გაფორმდებოდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მეუფე ზენონმა სტუდენტებს აცნობა, რომ ხელშეკრულების გაფორმება არ შედგა.

ფრთხილად, სარბიელზე რუსული ენერგოგიგანტია!

ინტერვიუ ქონების მართვის მინისტრის ყოფილ მოადგილესთან, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატთან, ექსპერტ ზურაბ გარაყანიძესთან

- რუსული ენერგოგიგანტების ქართულ ენერგობაზარზე შემოსვლამ პოლიტიკურ წრეებში დიდი რეზონანსი გამოიწვია. შიშობენ, რომ რუსეთი საქართველოს სტრატეგიულ დარგებზე მოპოვებულ გავლენას ქვეყნის პოლიტიკაზე ეკონომიკური ბერკეტებით ზემოქმედებისათვის გამოიყენებს. რამდენად საფუძვლიანია ეს შიში?

- ამ მოსაზრებაში არის ჭეშმარიტების მარცვალი. მით უმეტეს, თუ "იტერა" ან "გაზპრომი" - რუსეთის უდიდესი სახელმწიფო კომპანია - "თბილგაზის" პრივატიზებას შეეცდებიან, ასეთი ზეწოლა მომავალში უფრო ინტენსიური იქნება. ამას ადასტურებს რუსეთის ვიცე-პრემიერ ვ. ხრისტენკოსადმი "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის" თავმჯდომარის ანატოლი ჩუბაისის მიერ 2000 წელს გაგზავნილი წერილი, სადაც წერია, რომ

გაგრძელება A3 გვერდზე

პომპეზური სამიტის უფერული მოვლენები

ქადილის მიუხედავად, შევარდნაძემ დემარში ვერ გაბედა

ლევან ღირსიაშვილი

იალტაში მიმდინარე დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა სამიტზე, განსახილველი თემების გარდა, ყველაზე თვალშისაცემ მოვლენად აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის, პრეზიდენტის მემკვიდრის ილჰამ ალიევის გამოჩენა შეიძლება ჩაითვალოს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა ამჟამინდელი შეკრება ძველი სერობებისგან დიდად არაფრით განსხვავდება, შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ ილჰამ ალიევის პერსონა მართლაც ყველაზე საყურადღებო "სიახლე" იყო.

გაგრძელება A5 გვერდზე

REUTERS

პრეზიდენტები სამიტის დახურვის ცერემონიაზე.

ამინდი

თბილისი	22	
ქუთაისი	18	
ბათუმი	18	
სოხუმი	19	
ფოთი	19	
თელავი	19	
ზუგდიდი	19	
გორი	16	
ახმეტა	18	
ჭიათურა	17	

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1375
ევრო	2.3951
გირვანქა სტერლ.	3.4322
რუბლი	0.0705

შოთა ჭიჭიაშვილი რუსეთს პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს

"ეს ტაბუდადებული თემაა," – ასეთ პასუხს იძლევიან უშიშროების სამინისტროში იმ გასაიდუმლოებული საქმის შესახებ, რომელიც პანკისელ გამტაცებელზე - შოთა ჭიჭიაშვილზეა.

ინგა ალავიძე

უფრო ზუსტად, ქართველი სამართალდამცველები, რომლებმაც შოთა ჭიჭიაშვილის მოსკოვში დაკავება დიდი ხმაურით ამცნეს საზოგადოებას და მისი სპეციექსტრადიციისთვის მზადებაც კი დაიწყეს, ახლა დუმილს არჩევენ. თუ ჭიჭიაშვილის დაკავების შემდეგ თბილისში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ "პანკისელ გამტაცებელს" მოსკოვი სპეცრეისით გამოაგზავნიდა, ახლა ეს იმედები ქართველ სამართალდამცველებს გაუცრუვდათ. საქმე ისაა, რომ მოსკოვი ქართველ კანონდამცველებს "ძვირადღირებულ" ტუსაღს არ აძლევს. რუსმა სამართალდამცველებმა უარით გამოისტუმრეს მოსკოვში ვიზიტად მყოფი უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია, რომელიც თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ხელდამშვენებული დაბრუნდებოდა – შოთა ჭიჭიაშვილს ჩამოიყვანდა. მეტიც, ქართველი მინისტრის სურვილი - შეხვედროდა და დაეკითხა პანკისელი ტუსაღი, განუხორციელებელი დარჩა. არადა, როგორც მოსკოვში მყოფი ვალერი ხაბურძანია რუს კოლეგებს არწმუნებდა, ჭიჭიაშვილის დაკითხვა აუცილებელი იყო, რათა დაედგინათ პანკისის ხეობაში მომხდარი გახმაურებული გატაცებების შემსრულებელთა და შემკვეთთა ვინაობა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ნინო ბურჯანაძემ ახალქალაქში თავიდან აიცილა დაგეგმილი ინციდენტი

გიორგი ასანიშვილი

ბლოკი "ბურჯანაძე-დემოკრატების" წინასაარჩევნო კამპანია საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს. ნინო ბურჯანაძის აქტიურობა და რეგიონებთან სისტემატური კონტაქტი სარეიტინგო "ცხრილში" სათანადოდ აისახება. პარლამენტის თავმჯდომარის ოპონენტებიც კი აღიარებენ, რომ სპიკერი და მისი საარჩევნო ბლოკი, თითქმის ყველა პარამეტრის მიხედვით, ერთპიროვნული ლიდერები არიან. თუმცა, წინასაარჩევნო პროცესში ფათერაკები და მოულოდნელობები ხშირად ხდება, ამიტომ თვითდამშვიდება დაუშვებელია - შეიძლება, ერთმა შეცდომამ ან გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ ყველაფერს ხაზი გადაუსვას.

ასეთი საფრთხე გაცილებით დიდია იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები. ამდენად, სამცხე-ჯავახეთში პარლამენტის თავმჯდომარის ორდღიანი სტუმრობა რისკის ფაქტორს ნამდვილად შეიცავდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ, პირველად წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში, "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" სამცხე-ჯავახეთში გამგზავრებულ სპიკერს მოზრდილი გუნდი (გიორგი ბარამიძე, რომან კუსიანი, მარინა მოლოდინი, დავით ტყეშელაშვილი) აახლეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

მინისტრები მიდიან, პრობლემები რჩება

სოფო ჩხაიძე

მართალია, როლანდ გილიგაშვილი 15 სექტემბრიდან, ანუ მას შემდეგ აღარ მიიჩნევს თავს იუსტიციის მინისტრად, რაც საქართველოს პრეზიდენტს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებით მიმართა, მაგრამ, ოფიციალურად, იუსტიციის მინისტრის სავარძელი ვაკანტურად მხოლოდ გუშინ გამოცხადდა. სწორედ გუშინ მიიღეს სამინისტროში შევარდნაძის ბრძანებულება გილიგაშვილის გათავისუფლების თაობაზე. შესაბამისად, ყოფილ იუსტიციის მინისტრს არჩევნებში მონაწილეობისათვის უკვე მწვანე შუქი აქვს ანთებული. მაგრამ, რადგანაც გურჯაანის რაიონიდან (სწორედ ამ რაიონის მოსახლეობამ აირჩია ამ მოწვევის პარლამენტში როლანდ გილიგაშვილი) მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მისი ძმაა, ამბობენ, როლანდ გილიგაშვილი პარტიული სიით კენჭისყრას აპირებსო. თუმცა, საბოლოო არჩევანი მას ჯერ არ გაუკეთებია - როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ ეტაპზე რამდენიმე პოლიტიკურ პარტიასთან თუ ბლოკთან აწარმოებს მოლაპარაკებას და მათ შორის ნამდვილად არის სახელისუფლებო ბლოკი.

რაც შეეხება იუსტიციის მინისტრის პორტფელის მფლობელობის კანდიდატებს, ამ ამპლუაში მოაზრებულ მარიამ ცაცანაშვილსა და პაატა ცნობილაძეს კიდევ ერთი – უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, ყოფილი უშიშროების მინისტრი ჯემალ გახოკიძე დაემატა. მანამდე კი, სანამ საქართველოს პრეზიდენტი საბოლოო არჩევანს გააკეთებს, იუსტიციის მინისტრის მოვალეობას დროებით ასრულებს პირველი მოადგილე გიორგი წკრიალაშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

არჩევნების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა

"24 საათის" სტუმარია სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რუბენ შუღარიანი

შოთა უტიაშვილი

- მას შემდეგ, რაც რუსეთი ქართულ ენერგოსისტემას დაეპატრონა, ბევრი საუბარია იმის შესახებ, რომ კავკასიაში რუსეთის გავლენა იზრდება, ამერიკის კი, შესაბამისად – მცირდება. თუ იზიარებთ ამ მოსაზრებას?

- ამ შეფასებას ვერ გავიზიარებ. სამხრეთ კავკასიაში ერთი ქვეყნის გავლენის ზრდა არ ნიშნავს მეორის გავლენის შემცირებას. ეს ასე იყო 90-იან წლებში, 11 სექტემბრის შემდეგ კი რუსულ-ამერიკული ურთიერთობები სერიოზულად შეიცვალა. ეს არ ნიშნავს, რომ მათ შორის კონკურენცია აღარ არსებობს. მაგრამ ის უკომპრომისო ბრძოლა, რუსული ტერმინი რომ ვიხმაროთ, "ახლო საზღვარგარეთზე" გავლენისათვის, რაც ადრე იყო, დღეს უკვე აღარ მიმდინარეობს. ის, რაც ქართულ ენერგეტიკასთან დაკავშირებით მოხდა, კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა დაბალანსდეს რეგიონში ორი დიდი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები.

- ბოლო ხანს საგრძნობლად გაფართოვდა სომხეთის ურთიერთობები ნატო-სთან. თუ ამერიკა-რუსეთს შორის თქვენს მიერ ნახსენებ დათბობასაც გავითვალისწინებთ, ხომ არ აპირებს სომხეთი განაცხადოს, რომ მას ნატო-ში გაწევრიანება სურს?

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 ამბები | A4 ამბები | A5 უცხოეთი | A6 სპორტი | A7 რევიუ | A8 სხვადასხვა

მიწის რეგისტრაციის კომპონენტი აჭარასაც ეხმარება

მიწის რეგისტრაციის სამუშაოები საკმაოდ ძვირი ჯდება.

ნინო ნარჩემაშვილი

დღეს ბათუმში იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების წარმომადგენლების მონაწილეობით მუშაობა დაიწყო სემინარმა სახელწოდებით "მიწისა და სხვა უძრავი ქონების სარეგისტრაციო სისტემის განვითარება და ხელშეწყობა". მისი ორგანიზატორია მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) დაფინანსებით მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტში მიმდინარე პროექტი "მიწის რეგისტრაციის კომპონენტი".

შეგახსენებთ, რომ პროექტი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, მიწისა და სხვა უძრავი ქონების რეგისტრაციას ახორციელებს, ანუ სახელმწიფოს მიერ ხალხისათვის კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწების იურიდიულად დაკანონებას ემსახურება ყოველგვარი ბიუროკრატიული პროცედურის გავლის გარეშე. და კიდევ, საქართველოში უცხოური ორგანიზაციების დაფინანსებით მიმდინარე პროექტებს შორის იგი ერთადერთია, სადაც თანხების დაზოგვა მოხდა და თავდაპირველად გათვალისწინებული მცხეთისა და გარდაბნის გარდა ქვეყნის სხვა რაიონებშიც (მათ შორის - საქართველოს მთიან რეგიონებში, სადაც აგრარული სექტორის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს) მოხერხდა მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სამუშაოების განხორციელება.

პროექტის ხელმძღვანელის, ივერი მელაშვილის განცხადებით, პროექტის დაფინანსებით ბათუმში აჭარის რეგიონის მოსახლეობის მომსახურებისათვის განკუთვნილი სარეგისტრაციო ოფისისა და მისი ტექნიკური აღჭურვილობის სამუშაოები ხორციელდება. მიმდინარეობს მომსახურე პერსონალის სწავლება. ამ მიზნებისათვის, საერთო ჯამში, 45 ათასი აშშ დოლარი დაიხარჯება. სემინარის მიზანი კი მოსახლეობის ინფორმირებისათვის, მიწის რეგისტრაციის სისტემაში უკვე ჩატარებული სამუშაოების, მიღებული გამოცდილების მიმოხილვა და შექმნილ პრობლემებზე მსჯელობა გახლავთ. ივერი მელაშვილის თქმით, **"მიწის რეგისტრაციის სამუშაოები საკმაოდ ძვირი ჯდება და დონორების გარეშე მისი განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. აღნიშნულ პროექტში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ექვსი დონორი ორგანიზაციაა ჩართული. მისი განხორციელებისათვის მსოფლიო ბანკისა და IFAD-ის მიერ ექვსი მილიონი აშშ დოლარი იქნა გამოყოფილი, საიდანაც 20 პროცენტი საქართველოს თანადაფინანსების წილს შეადგენს და ეს პროექტის მუშაობისას წარმოქმნილი ყველაზე დიდი პრობლემაა, რადგან თანადაფინანსების თანხა ვერ გამოიყო."**

რა წარმოადგენს მიწის რეგისტრაციის მიზანს და რატომ არის იგი აუცილებელი უძრავი ქონების მფლობელისათვის? მიწის მართვის დეპარტამენტის უცხოელი კონსულტანტის დონინგ დენიელსონის განმარტებით, ეს პროცესი უზრუნველყოფს უძრავ ქონებაზე უფლებათა შეძენის, გამოყენებისა და განკარგვის უსაფრთხოებას. განსაზღვრავს უძრავი ქონების გადასახადით დაბეგვრას და ქონების ანაზღაურების საშუალებად გამოყენების (კრედიტის მისაღებად, დასაგირავებლად, იპოთეკისათვის) შესაძლებლობას იძლევა. ამცირებს მოსახლეობას შორის დავას, რასაც აქამდე ჰქონდა ადგილი. დენიელსონის თქმით, მიწის რეფორმა ეკონომიკური რეფორმის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს და, ამდენად, მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისათვის.

კორუფციასთან საბრძოლველად ახალი კოალიცია შეიქმნა

გუშინ საქართველოს ანტიკორუფციულ ბიუროში ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციათა კოალიციის შექმნის პრეზენტაცია გაიმართა. აღნიშნულმა კოალიციამ ხელი უნდა შეუწყოს (საერთაშორისო დონორების დახმარებით) ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

ეს გეგმა შეიქმნა 10 სექტემბერს სტამბულში ჩატარებულ კონფერენციაზე - „ანტიკორუფციული ქსელი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის". იგი სამოქმედო გეგმა იქნება საქართველოს, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უკრაინისთვის.

ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის კახა უგულავას მიერ დღევანდელ პრეზენტაციაზე გაკეთებული განცხადებით, კოალიციას დიდი მნიშვნელობა ექნება ანტიკორუფციული საქმიანობისთვის..

მისივე თქმით, კორუფციის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა არის არა მთავრობის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტი, არამედ ისეთი საერთაშორისო დონორების, როგორიცაა ევროსაბჭო, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

სწორედ ეს ორგანიზაციები დააფინანსებენ კონკრეტულ ანტიკორუფციულ ღონისძიებებს.

შესაბამისად, გუშინ შექმნილი კოალიცია ანგარიშვალდებული არ იქნება სახელმწიფოს მიმართ. ამან კი მისი თავისუფლების ხარისხი უნდა აამაღლოს.

29 სექტემბერს გაიმართება არასამთავრობოთა კოალიციის პირველი სამუშაო შეხვედრა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან.

ამ შეხვედრაზე პოლიტიკურმა პარტიებმა კორუფციის დაძლევის საკუთარი კონცეფცია უნდა წარმოადგინონ.

24 საათი

მეუღლის მკვლელი ლინჩის წესით გასამართლებას გადაურჩა

ბექა სისაური
ქუთაისიდან

იმერეთის რეგიონში საგრძნობლად გახშირდა ისეთი მძიმე დანაშაული, როგორიცაა განზრახ მკვლელობა. დაფიქსირებული დანაშაულის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი ოჯახური კონფლიქტების ნიადაგზეა ჩადენილი. შემზარავი მკვლელობის მიზეზი, რომელიც ახლახან ხონის რაიონის სოფელ ჯიხაისში მოხდა, სწორედ ოჯახური უთანხმოება გახდა.

ქუთაისში მცხოვრებმა გიორგი ნაფეტვარიძემ ჯერ საკუთარი მეუღლე გამოასალმა სიცოცხლეს, შემდეგ კი სიმამრი დაჭრა მხოლოდ იმისათვის, რომ განქორწინებულ ცოლს მასთან შერიგება არ სურდა.

ნაფეტვარიძემ მეუღლე - ლარისა ესაძე სამი არასრულწლოვანი შვილის თვალწინ მოკლა და შემთხვევის ადგილიდან გაიქცა. თუმცა, იგი სამართალდამცველებმა მკვლელობის დღესვე, სიმონეთის ტერიტორიაზე მდებარე ავტოსაგზაო პოლიციის საგუშაგოსთან დააკავეს.

დაკავებული გიორგი ნაფეტვარიძე ჯერ დუმილის უფლებით სარგებლობდა, მოგვიანებით კი დუმილი დაარღვია და ირწმუნებოდა, რომ მომხდართან დაკავშირებით არაფერი ახსოვდა.

ესაძეების ოჯახში მომხდარმა საზარელმა მკვლელობამ მთელი ხონის რაიონი შეძრა. ესაძეების ოჯახის ახლობლები დამნაშავის ლინჩის წესით გასამართლებას მოითხოვდნენ. დაძაბულობის თავიდან აცილების მიზნით, ხონის პოლიციამ დაკავებული ნაფეტვარიძე სასწრაფოდ გადაიყვანა ქუთაისის N2 იზოლატორში.

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობა – ასეთი კვალიფიკაცია მიეცა გიორგი ნაფეტვარიძის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელსაც ხონის რაიონის პროკურატურა იძიებს.

"სოციალისტური" და იალტური ჯვარი აფხაზეთის თემაზე

მაშინ, როცა რუსეთის ძალისხმევით დსთ-ს სამიტზე აფხაზეთის საკითხზე მსჯელობა იბლოკებოდა, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი პარლამენტში ვაშინგტონი-მოსკოვი-თბილისის სამკუთხედზე საუბრობდა:

"ამერიკის დახმარების გარეშე საქართველოს სახელმწიფო არ შედგებოდა; ამასთან, რუსეთთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის გარეშე კავკასიაში ომისა და მშვიდობის საკითხების მოგვარებაც წარმოუდგენელია," - ამბობდა რჩეულიშვილი, რომელიც ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების სექტემბრის ბოლოს დაგეგმილ შეხვედრას დიდი იმედით ელის.

"ბუში და პუტინი ბოლო შეხვედრაზე საქართველოს საკითხთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. სექტემბრის ბოლოს დაგეგმილი მათი მორიგი შეხვედრის დროს ამ მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმება," – ამბობდა იგი.

ამასთან, მართალია, საქართველოს პარლამენტმა საშემოდგომო სესიაზე კვორუმის შეკრება და რჩეულიშვილის "ჯვრისებრი პოლიტიკის" შესაბამისად შექმნილი მიმართვის ტექსტის მიღება ვერ მოახერხა, მაგრამ რჩეულიშვილმა ამ მიმართვის ტექსტი აშშ-ს, რუსეთისა და გაერო-ს წარმომადგენლებს "პარლამენტართა ჯგუფის" სახელით მაინც გადასცა.

მიმართვაში პარლამენტარები სამი ქვეყნის პრეზიდენტს საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების იდეას სთავაზობენ, სადაც რეგიონში ტერორიზმთან ბრძოლის და საქართველოში მშვიდობის, სტაბილურობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროგრამის შემუშავება მოხდება.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ვახტანგ რჩეულიშვილი თვის ბოლოს აშშ-ში მიემგზავრება, საიდანაც მოსკოვში "გამოივლის" და წინასაარჩევნოდ თბილისს ისე დაუბრუნდება.

რჩეულიშვილი აშშ-დან რუსეთში გამოვლას აპირებს.

„ახალმა მემარჯვენეებმა" თბილისში მაჟორიტარების წარდგენა დაასრულეს

პარასკევს "ახალმა მემარჯვენეებმა" თბილისის რაიონებში მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა დაასრულეს: 9 კანდიდატი თბილისის 10 რაიონში - ასეთია "ახლების" განაცხადი, რომლებმაც ისანში გია ყარყარაშვილს კონკურენტი არ დაუყენეს.

"ჩემთვის მეგობრობა და კაცობა ყველაზე მთავარია," – ასე ახსნა "ახლების" ერთ-ერთმა ლიდერმა, ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ, რაც გუშინ ოფიციალურად წარადგინეს ნაძალადევისა და კრწანისის რაიონების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები.

ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, პროფესიით იურისტი ზვიად ჩოხელი იქნება.

კრწანისის რაიონში კი "ახალ მემარჯვენეებს" პროფესიით ფიზიკოსი, იურისტი, 1995-99 წლების მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ყოფილი წევრი დავით ჭეიშვილი წარმოადგენს.

ზვიად ჩოხელის კონკურენტი ნაძალადევის რაიონში იქნება "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" წევრი, რეჟისორი გოდერძი ჩოხელი, ხოლო კრწანისის რაიონში დავით ჭეიშვილს "ნაცმოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერთან - პეტრე ცისკარიშვილთან, ასევე "ლეიბორისტების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან - იოსებ შატბერაშვილთან მოუწევს ბრძოლა.

შეგახსენებთ, თბილისის დანარჩენ რაიონებში "ახლების" კანდიდატები არიან: ლევან გაჩეჩილაძე - ვაკე, თემურ გოცირიძე - გლდანი, დავით კოლუაშვილი – დიდუბე, ირაკლი შიხიაშვილი - სამგორი, რეზო შავიშვილი - საბურთალო, ვახტანგ ხმალაძე – მთაწმინდა, კოკა გუნცაძე - ჩუღურეთი.

24 საათი

"ახლებს" მაჟორიტარი მხოლოდ ისანში არ ჰყოლებათ.

სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე ხელისუფლებიდან მოდის

სოფო ბუკია

ლევან პირველი ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარ კანდიდატობას აპირებს. გუშინ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" საკუთარი კანდიდატი ჩუღურეთის მოსახლეობას ოფიციალურად წარუდგინა. **"დედაჩემი ჩუღურეთიდანაა, მამაჩემიც. ბავშვობაში ხშირად მიწევდა აქ ყოფნა, ძალიან ბევრი მიცნობს, ვახსოვართ. შეიძლება ითქვას, ბავშვობიდან ვიცნობ ამ რაიონის პრობლემებს,"** – ეს გახლავთ ის არგუმენტი, რის გამოც ლევან პირველმა პარლამენტში მოსახვედრად ჩუღურეთის რაიონი აირჩია.

გარდა ამისა, პირველი აცხადებს, რომ მას საკმაოდ მდიდარი საპარლამენტო გამოცდილება აქვს, იცის, როგორ კეთდება საქმე და ზურგს უმაგრებს ისეთი ძლიერი პოლიტიკური ძალა, როგორიცაა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს". **"მთავარია იდეოლოგია, რომელსაც ჩვენი პარტია იზიარებს,"** – აცხადებს იგი და დასძენს, რომ "მრეწველები" "სხვა ვითომ ოპოზიციურ, დემაგოგიურ პარტიებს" არ ჰგვანან.

ლევან პირველის გუშინდელ "პრეზენტაციას" "მრეწველთა" ლიდერი გოგი თოფაძეც დაესწრო. თოფაძის ვარაუდით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე საზოგადოებაში სერიოზული დაპირისპირების საფრთხე არსებობს. ამგვარ საშიშროებას იგი სწორედ სახელისუფლებო ბლოკის მხრიდან ელის და ამიტომ გადაწყვიტეს, "მრეწველთა" პარტიამ არჩევნებში დამოუკიდებლად, ყოველგვარ საარჩევნო ბლოკებში გაერთიანების გარეშე მიიღოს მონაწილეობა. მისივე თქმით, პირველი, რასაც "მრეწველები" პარლამენტში მისვლის შემთხვევაში გააკეთებენ, იქნება იმ საგარეო ვალების რევიზიის მოთხოვნა, რომელიც ხელისუფლებამ მომავალ თაობებს ასე მრავლად დაუგროვა.

ლევან პირველის ჩუღურეთის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად წარდგენას თოფაძე იმით ხსნის, რომ **"პირველი ნიჭიერი კაცია, ჩუღურეთში ცხოვრობს და იქ დიდი წრე ჰყავს"**.

"ადრე აბრალებდნენ რაღაცეებს, მაგრამ ყველა ბრალდებას საკადრისი პასუხი გასცა, თავი იმართლა," – აცხადებს გოგი თოფაძე და დარწმუნებულია, რომ პირველი ჩუღურეთელთა გულის მოგებას შეძლებს.

ლევან პირველი აცხადებს, რომ მას საკმაოდ მდიდარი საპარლამენტო გამოცდილება აქვს

პირველს საკუთარი ჩუღურეთელი კონკურენტები არ აშინებს. **"ალბათ, სერიოზული ბრძოლა მელის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებ,"** – აცხადებს იგი.

პირველის კონკურენტები კი ჩუღურეთის რაიონში სახელისუფლებო ბლოკელი ზეზვა ღუღუნიშვილი და "ნაციონალი" ბესო ჯუღელი იქნებიან.

შოთა ჭიჭიაშვილი რუსეთს პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს

პირველი გვერდიდან

ყველაზე დიდი, რაც ქართველმა მინისტრმა ჭიჭიაშვილთან დაკავშირებით შეძლო, ის იყო, რომ ფსბ-ს მასალებს გაეცნო, ანუ შოთა ჭიჭიაშვილის მიერ ფსბ-ს გამომძიებლებისთვის მიცემულ ჩვენებებს. როგორც ცნობილია, რუსი სამართალდამცველები პანკისელი ქისტის წარსულით დაინტერესდნენ, რადგან გაჩნდა ეჭვი, რომ კრიმინალს სერიოზული კავშირები ჰქონდა ჩეჩენ საველე მეთაურებთან და შესაძლოა, მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული მოსკოვში მომხდარ ტერაქტებში. ერთი სიტყვით, ვალერი ხაბურძანია ფსბ-ს იზოლატორში გადაყვანილ შოთა ჭიჭიაშვილს არ შეახვედრეს.

გასულ კვირას მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა უშიშროების მინისტრის მოადგილე ირაკლი ალასანია. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მინისტრის მოადგილის ხელით რუსეთის გენერალურ პროკურატურას შეხსენება გაუგზავნა. ქართველმა სამართალდამცველებმა რუს კოლეგებს ორ ქვეყანას შორის გაფორმებული რიგის ხელშეკრულება და ექსტრადიციის შესახებ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებაც გაახსენეს. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გასულ კვირას ჭიჭიაშვილის ექსტრადიცია კიდევ ერთხელ მოითხოვა; თუმცა, კვლავ უშედეგოდ.

"უცხოელთა გატაცების ყველა საქმე უშიშროების სამინისტროს პროცესუალურად თითქმის გახსნილი აქვს. ჭიჭიაშვილის ექსტრადიციის თაობაზე დოკუმენტაცია მზადდება და რუსეთი ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას შეასრულებს, ამიტომაც ჭიჭიაშვილის ექსტრადიცია უახლოეს მომავალში აუცილებლად განხორციელდება," – ასე ოპტიმისტურადაა განწყობილი უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორი ნიკა ლალიაშვილი.

ნიკა ლალიაშვილის განცხადებისგან განსხვავდება გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსის პაატა მსხილაძის კომენტარი.

"მართალია, არაერთი მოთხოვნა გავაგზავნეთ, მაგრამ რუსეთის გენერალური პროკურატურიდან არანაირი პასუხი არ მოგვსვლია. რაც შეეხება მასალებს, რუსეთის გენერალურ პროკურატურას ექსტრადიციისთვის საჭირო დოკუმენტაცია სრულყოფილად გადავუგზავნეთ. ჭიჭიაშვილის შესახებ ორი საქმე იყო აღძრული. რუსეთის გენერალურ პროკურატურას ორივე საქმის მასალები გავუგზავნეთ. გარდა ამისა, ორი წერილით მივმართეთ - ექსტრადიციის აუცილებლობა შევახსენეთ," – განაცხადა პაატა მსხილაძემ.

რატომ არ გადასცემს რუსეთი "პანკისელ გამტაცებელს" საქართველოს? ამ კითხვას რუსეთის პრესა პოლიტიკური არგუმენტით ხსნის. **"ქართველი კრიმინალი ვაჭრობის საგანი გახდა. მის სანაცვლოდ რუსეთი ჩეჩენ ბოევიკებს ითხოვს. რუსეთის გენერალურ პროკურატურას არ დავიწყებია საქართველო-რუსეთის საზღვარზე დაკავებული 13 ჩეჩენი ბოევიკის გადაცემის გამო მომხდარი პერიპეტიები. მართალია, 5 ჩეჩენი ბოევიკის გადაცემა მოხდა, მაგრამ რუსეთს ახსოვს, რომ საქართველომ დანარჩენების ექსტრადიცია არ განახორციელა. ორი ქვეყნისთვის კრიმინალთა გადაცემის საკითხი პოლიტიკისგან თავისუფალი არ არის. რუსეთში მყოფ ხაბურძანიას ჩეჩენი ბოევიკების შესახებაც ესაუბრნენ რუსი სამართალდამცველები. უფრო ზუსტად, შესთავაზეს, რომ მოახდინონ მათი ჭიჭიაშვილში გაცვლა,"** – ასეთი ვარაუდი გამოთქვა "независимая газета"-მ.

ის, რომ შოთა ჭიჭიაშვილის ექსტრადიციის საქმეში მართლაც პოლიტიკური მოტივი ფიგურირებს, ფაქტია. საქმე ისაა, რომ ოდიოზურ ფიგურად შექმნილი ჭიჭიაშვილის სახელი ახალ სამართლებრივ-პოლიტიკურ სიურპრიზს დაუკავშირდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ შოთა ჭიჭიაშვილმა, რომელსაც მოსკოვმა ლამის ტერორისტის სტატუსი მიაკერა, რუსეთს პოლიტიკური თავშესაფარი მოსთხოვა.

"საქართველოში პოლიტიკური ნიშნით მდევნიან. ყველა იმ ბრალდებას, რომელიც წამომიყენეს, პოლიტიკური საფუძველი აქვს," – ასეთი განცხადება გააკეთა პანკისელმა კრიმინალმა. შოთა ჭიჭიაშვილის განცხადებას პოლიტიკური თავშესაფარის მოთხოვნის შესახებ რუსეთის უზენაესი სასამართლო განიხილავს. ამასობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსტრადიციის სამთვიანი ვადა 24 სექტემბერს იწურება. ქართველი სამართალდამცველები ამ ფაქტის შესახებ კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა კერძო საუბრებში ჭიჭიაშვილთან დაკავშირებულ სიტუაციას მარტივად ხსნიან. ამ სცენარის მიხედვით, რუსეთში შოთა ჭიჭიაშვილის საქმეს ის ქართველი, ყოფილი მაღალჩინოსნები მართავენ, რომელთა შეკვეთებსაც ქისტი კრიმინალი სანიმუშოდ ასრულებდა და რომელთა ინტერესებშიც ჭიჭიაშვილის საქართველოში ექსტრადიცია არ შედის. სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, სწორედ მათი დაგეგმილია ჭიჭიაშვილის მიერ პოლიტიკური თავშსაფრის მოთხოვნაც, რათა ამოიწუროს არსებული სამართლებრივი ვადები – ექსტრადიციისა და წინასწარი პატიმრობის შესახებ. ამის შემდეგ კი შოთა ჭიჭიაშვილს თავისუფლება ერგება, ხოლო საქართველოს უშიშროების სამინისტროში არსებულ მრავალტომიან საქმეს გახსნა არასდროს უწერია.

ორი სიტყვით

თბილისი. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში გლდანის მაჟორიტარ დეპუტატობაში «ბურჯანაძე – დემოკრატების" კანდიდატს ელენე თევდორაძეს და "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატს კობა დავითაშვილს, "აღორძინების" წარმომადგენელი, პარლამენტარი ანზორ აბრალავა შეეცილება. აბრალავას არჩევნებში გამარჯვების იმედი აქვს და ცნობილი მეტოქეების არ ეშინია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში გუშინ ორი ქვეყნის - ლიტვის და საქართველოს საზღვრის დაცვის უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

გორი. თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დამოუკიდებლობის მე-13 წლისთავს აღლუმის გარეშე შეხვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სახალხო პარტიის ლიდერმა მამუკა გიორგაძემ შესაძლოა საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრა გადაწყვიტოს. გიორგაძე აპირებს, მაჟორიტარად კენჭი დიდუბის ან თბილისის სხვა რომელიმე რაიონში იყაროს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე გაიმართება მრავალეროვნული სამხედრო-სამედიცინო წვრთნების "მედქერ - 2003"-ის საზეიმოდ დახურვის ცერემონია, რომელსაც თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, შეიარაღებული ძალების გენერალიტეტისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ თბილისში ჩამოვიდა მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს II. იგი შეხვდება პრეზიდენტ შევარდნაძეს, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II და სხვა სასულიერო თუ საერო პირებს. ბართოლომეოს II 21 სექტემბერს ქუთაისში ბაგრატის ტაძრის 1000 წლის საიუბილეო ზეიმს დაესწრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარი გურამ შარაძე სახელისუფლებო ბლოკის ლიდერებს მოუწოდებს, აფხაზეთის დეპუტაციისათვის კვოტების მინიჭებისას წინა მოწვევის პარლამენტების გამოცდილება გაითვალისწინონ და საარჩევნო სიებში მათ დიდი წარმომადგენლობა არ დაუთმონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთში "დამოუკიდებლობის" ათი წლისთავთან დაკავშირებით სეპარატისტები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რუს მშვიდობისმყოფელებთან ერთად ე.წ. ანტიტერორისტული ღონისძიებების ჩატარებას აპირებენ. ამ მიზნით, ისინი კოდორის ხეობის ქვედა ზონაში აფხაზური სპეცდანიშნულების რაზმის 60-მდე წევრის და რამდენიმე ერთეული მძიმე ტექნიკის შეყვანას გეგმავენ. უახლოეს პერიოდში, რუს მშვიდობისმყოფელებთან ერთად, ასევე იგეგმება გალის რაიონის ქვედა და ზედა ზონის სოფლებში ე.წ. რეიდების ჩატარება, რისთვისაც აქ სეპარატისტთა კიდევ დამატებით ასკაციანი ქვედანაყოფის შეყვანა არის დაგეგმილი. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ რეგიონში ბომბორის სამხედრო აეროდრომიდან გადმოსროლილი იქნება რუს სამშვიდობოთა კონტინგენტი.

ამ სპეცღონისძიებებს აფხაზი სეპარატისტები იმით ხსნიან, რომ "დამოუკიდებლობის" ათი წლისთავისთვის, რომელიც 30 სექტემბერს აღინიშნება, ქართველთა მხრიდან ტერორისტული აქტებია მოსალოდნელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილგაზში" საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია "იტერასგან" ახალი ტელეფონოგრამა მიიღეს, სადაც "იტერას" აღმასრულებელი დირექტორი იური პიანიხი ქართულ მხარეს ახსენებს, რომ "თბილგაზს" აგვისტოში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური სრულად არ აქვს გადახდილი. მოსკოვში აგვისტოს თვეში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის - 324 ათასი დოლარის ნაცვლად, 287 ათასი დოლარი გადაირიცხა. ამასთან, სექტემბერში თბილისმა 70 ათასი დოლარის ღირებულების ბუნებრივი აირი მოიხმარა. სავარაუდოდ, "იტერა" სწორედ ამ თანხას ითხოვს ბუნებრივი აირის მოწოდების განახლების სანაცვლოდ. 15 სექტემბრიდან თბილისის გაზმომარაგება შეწყვეტილია. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ორი სიტყვით

თბილისი. 17 წლის აბრამ ჭეხაშვილი ხულიგნობისა და იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით დააკავეს. მან, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დედას – 39 წლის ნათელა დ.-ს, ხოლო შემდეგ ცეცხლი წაუკიდა საკუთარ საცხოვრებელ სახლს. პოლიციელებმა ჭეხაშვილის დაკავების შემდეგ მისი სახლის სარდაფი გაჩხრიკეს, საიდანაც უნომრო „ნაგანის“ სისტემის პისტოლეტი ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ბოლო ორი დღის განმავლობაში, თბილისში, სამი ავტოავარია სიკვდილით დასრულდა. 17 სექტემბერს, კახეთის გზატკეცილზე, ავტომანქანა „ვაზ 2109“, რომელსაც გარდაბანში მცხოვრები, 26 წლის ბადრი ბადრიძე მართავდა, დაეჯახა 60 წლის ქალს, რომელიც მიღებული დაზიანებებისგან გარდაიცვალა. ბადრიძე პოლიციელებმა ხელწერილით გაუშვეს. იმ დღესვე სააკაძისა და ვახუშტის ხიდებს შორის ავტომანქანა „ვაზ 2107“, რომელსაც 32 წლის სიმონ ზანგალაძე მართავდა, დაეჯახა 65 წლის მიხეილ პაპავას. ხოლო შემდეგ დაეჯახა ავტომანქანა „ვაზ-2107“-ს, რომელსაც გიორგი წიკლაური მართავდა; ავარიის შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა მიხეილ პაპავა, ხოლო წიკლაურმა და მისმა მგზავრმა სხეულის დაზიანებები მიიღეს. 18 სექტემბერს, ღამით, გამსახურდიას გამზირზე, 36 წლის ზაზა ყაშალაშვილი, რომელიც ავტომანქანა „გაზ-24“ მართავდა, შოთა გოცირიძეს დაეჯახა, რომელიც რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ყაშალაშვილი ხელწერილით არის გაშვებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კონტრაბანდის, იარაღის უკანონო ტარებისა და ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო გადაზიდვის ბრალდებებით დაკავებული გიორგი დურგლიშვილისა და ნიკოლოზ ხმიადაშვილის ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფთ სამართალდამცველებმა „იარაღი და ნარკოტიკი ჩაუდეს“ და ისინი უდანაშაულოები არიან. ადვოკატის თქმით, მათი უდანაშაულობის სხვა მტკიცებულებებიც არსებობს, მაგრამ გამოძიებაზე ზეწოლა ხორციელდება და უდანაშაულო პატიმრებს არ ათავისუფლებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შს მინისტრის მოადგილის რუბენ ასანიძის თქმით, სვანეთში მიმდინარე სპეცღონისძიებების შედეგად დაკავებულია რამდენიმე კრიმინალი და ამოღებულია დიდი რაოდენობით იარაღი. ასანიძე დაკავებულ პირთა ვინაობის დაკონკრეტებისაგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ისინი სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის იძებნებოდნენ. "ამასთან, ორი დღის წინ, სვანეთში, იქ მიმდინარე ღონისძიებების გააქტიურების მიზნით, სამართალდამცავების კიდევ ერთი დამატებითი ჯგუფი გაიგზავნა. რამდენიმე პირზე გამოცხადებულია ძებნა", - ამბობს ასანიძე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 15-18 ოქტომბერს საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ფორუმი გაიმართება. ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე "სოციალისტური პარტიის" ლიდერი, ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი იქნება, ხოლო მისი მოადგილე - სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილისის კომპანია "ბალტიის სავაჭრო სახლი" საქართველოში ლიტვურ საწარმოს "კაუნო ენერგეტიკოს რემონტასის" წარმომადგენელი იქნება," - განაცხადა ლიტვის რესპუბლიკის საპატიო კონსულმა ირენა სლიზიავიჩიუტე-ჯიქიამ. მისი თქმით, ლიტველები საქართველოს ენერგობაზარს სამუშაოთა ფართო სპექტრს შესთავაზებენ, რაც რემონტს, მოდერნიზაციას, თბოელექტროსადგურების დიაგნოსტიკასა და რეკონსტრუქციას, მექანიკურ და ელექტროაღჭურვილობას, სათადარიგო ნაწილების დამზადებასა და მეტალოკონსტრუქციას ეხება. შესაძლოა ბაზარზე ლიტვურ-დანიური კონსორციუმის "BNE"-ს შემოსვლა, რომელიც ქარის ტურბინებზე სპეციალიზდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

გალი. ოჩამჩირე-ტყვარჩელის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენა ცოტა ხნის წინათ ტყვარჩელის საბადოს დამამუშავებელმა ერთ-ერთმა თურქულმა ფირმამ იკისრა. თურქებს განსაკუთრებულ პრობლემას უქმნის ტყვარჩელის საბადოებიდან მოპოვებული ქვანახშირის პორტამდე ტრანსპორტირება და შემდეგ ზღვით მისი თურქეთში გატანა. ამ ეტაპზე თურქულმა ფირმამ უკვე აღადგინა სარკინიგზო მონაკვეთი ტყვარჩელიდან უშუალოდ საბადოებამდე. **მედია-ნიუსი**

ნინო ბურჯანაძემ ახალქალაქში თავიდან აიცილა დაგეგმილი ინციდენტი

პირველი გვერდიდან

"მოლოდინი" მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა: მიუხედავად იმისა, რომ ახალქალაქში ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართული შეხვედრის დროს მართლა ჰქონდა ადგილი სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვის მცდელობას, ნინო ბურჯანაძეს "დამხმარე რაზმის" გამოყენება არ დასჭირვებია და მარტომ მოახერხა ვითარების განმუხტვა.

არაოფიციალური ინფორმაციით, ახალქალაქის თეატრის შენობაში შეკრებილთა შორის ხელისუფლებამ შევარდნაძის აქტიურ მხარდამჭერთა დაახლოებით ათკაციანი ჯგუფი "შეაგზავნა", რომელსაც ევალებოდა, რომ სკანდალური განცხადებებით აურზაური გამოეწვია და შეხვედრა ჩაეშალა. თავდაპირველად, ყველაფერი თითქოს სწორედ ამ სცენარის მიხედვით წარიმართა: ერთ-ერთმა გამომსვლელმა "აღიარა", რომ წინა საპარლამენტო არჩევნების დროს ზურაბ ჟვანია და მისი გუნდი არჩევნების შედეგების გაყალბებას აძალებდა და ისიც იძულებული იყო, მათი "მოთხოვნა" შეესრულებინა.

"რა ნამუსით ჩამოდიხართ ახალქალაქში და არჩევნებში მხარდაჭერას ითხოვთ?" - "აღშფოთებას ვერ მალავდა" "მომნანიე" გამყალბებელი.

ამას მოჰყვა განცხადებები (საუბარი და გამოსვლები მხოლოდ რუსულ და სომხურ ენებზე მიმდინარეობდა) ახალქალაქში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზის შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ და სხვა მწვავე რეპლიკები. უცნაური და საინტერესო იყო ისიც, რომ დაახლოებით 500-კაციან აუდიტორიაში არც ერთი ქალი არ იმყოფებოდა. მამაკაცებმა ეს გარემოება იმით "ახსნეს", რომ ქალებს სახლში ბევრი საქმე აქვთ და პოლიტიკურ ღონისძიებებზე სასიარულოდ არ სცალიათ.

ახალქალაქელებმა ნინო ბურჯანაძე მქუხარე ტაშითა და ოვაციებით გამოაცილეს.

როდესაც დარბაზში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა და საქმე მუშტი-კრივისკენ მიდიოდა, სცენაზე ნინო ბურჯანაძე გამოვიდა (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით). მან ნახევარსაათიანი გამოსვლით დარბაზის "ხელში აყვანა" და დაგეგმილი ინციდენტის თავიდან აცილება მოახერხა. პარლამენტის თავმჯდომარის მოსაზრებები რუსეთის სამხედრო ბაზის მომავალთან დაკავშირებით და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ დამსწრეთათვის, მართალია, მთლიანობაში მიუღებელი იყო, მაგრამ იმით, რომ თავის გამოსვლაში ბურჯანაძე აბსოლუტურად გულწრფელი იყო და თავისი სათქმელი ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე თქვა, სპიკერმა მასთან შეხვედრაზე მისული საზოგადოების პატივისცემა დაიმსახურა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ თავიდან აგრესიულად განწყობილმა აუდიტორიამ შეხვედრის დასრულების შემდეგ ნინო ბურჯანაძე მქუხარე ტაშითა და ოვაციებით გამოაცილა.

ახალქალაქში, ახლაციხესა და ასპინძაში ყოფნისას ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერმა "ტექნიკური საკითხებიც" მოაგვარა - მოსახლეობას ამ რაიონებში თავისი ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარუდგინა. ნინო ბურჯანაძე ახალქალაქელებს "სთავაზობს", მხარი დაუჭირონ ჰამლეტ მოვსესიანს, ახალციხელებს ურჩევს, ხმა მისცენ გოჩა ნათენაძეს, ხოლო ასპინძელებს ემზარ ასპანიძის არჩევისკენ მოუწოდებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ასპინძაში გამართულ შეხვედრას "ნაციონალების" წევრი პარლამენტარი ნოდარ გრიგალაშვილიც დაესწრო, რომელმაც მოსახლეობას სთხოვა, "ბურჯანაძე-დემოკრატების" მიერ შეთავაზებული ემზარ ასპანიძის კანდიდატურისთვის დაეჭირათ მხარი.

ახალქალაქისგან განსხვავებით, სამცხე-ჯავახეთის სხვა რაიონებში - ახალციხეში, ასპინძასა და ადიგენში - პარლამენტის თავმჯდომარეს შედარებით "ლაითგასვლები" ჰქონდა. აქ შემდგარ შეხვედრებზე ნინო ბურჯანაძემ შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ არჩევნების წინ ხელისუფლება ოდნავაც არ აქტიურობს და "ხალხთან სალაპარაკოდ არ დადის".

" ეტყობა, დღევანდელ მმართველ ძალას არჩევნების გაყალბების იმედი აქვს და მოსახლეობასთან დიალოგს ამიტომაც არ მიიჩნევს საჭიროდ," - ვარაუდობს პარლამენტის თავმჯდომარე და მოუწოდებს ხალხს, ხელისუფლებას არჩევნების შედეგების ფალსიფიცირების საშუალება არ მისცეს.

მინისტრები მიდიან, პრობლემები რჩება

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს, რომლებიც გილიგაშვილის გადადგომის უმთავრეს საბაბად იქცა, სამართალდამცველებმა უკვე მოახერხეს 10 სექტემბერს გაქცეულ პატიმართა უმეტესობის იქ (73 პატიმრის) დაბრუნება. მომავალში გაქცევის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მთელი შემადგენლობა და იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი მთლიანად განაწილებულია აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ახალშექმნილი 40-კაციანი ჯგუფი კი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს სპეცსახსრებიდან ფინანსდება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისა და სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ყოველ საღამოს ნაწილდება სხვადასხვა დაწესებულებაში და ფარავს პრობლემატურ საგუშაგოებს.

"მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი სასჯელაღსრულების დაწესებულებების გარე პერიმეტრებს მთლიანად გააკონტროლებს. თითოეულ თანამშრომელს, რომელიც მიმაგრებულია დაწესებულებებზე, მიეცა შესაბამისი მითითება, რომ პატიმართა გაქცევის მცდელობის შემთხვევაში გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლება, მათ შორის – ლიკვიდაცია," - ამბობს წკრიალაშვილი.

ამასობაში იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება სასჯელაღსრულების დაწესებულებების გარე პერიმეტრის შინაგანი ჯარის ნაწილების მიერ გაკონტროლების თაობაზე. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია კვლავაც უცვლელია – დაფინანსების გარეშე ეს პრობლემა ვერ მოგვარდება, პრობლემის მოსაგვარებლად კი ისინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ ცოტა სამ მილიონ ლარს და თავის დროზე იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემულ შენობა-ნაგებობების დაბრუნებას ითხოვენ. წკრიალაშვილის თქმით კი:

"აქაც დროებითი ღონისძიება იქნება გასატარებელი, რადგან შინაგანი ჯარის სტაციონარული განლაგება იმ შენობებში, რომელიც შს სამინისტრომ გადმოგვცა, უახლოეს მომავალში შეუძლებელი იქნება, რადგან ფინანსების გამოძებნის შემთხვევაშიც კი, ეს წაიღებს ძალიან დიდ დროს. ყაზარმები, სადაც ადრე შინაგანი ჯარის ნაწილები იყო განთავსებული, სერიოზულ რეაბილიტაციას საჭიროებს."

მოლაპარაკების მწარმოებელ მხარეებს შორის რადიკალურად განსხვავებული პოზიციების არსებობა შეთანხმების მიღწევას, ფაქტობრივად, გამორიცხავს, რა თქმა უნდა, თუ საქმეში მესამე, უფრო მაღალი ინსტანცია არ ჩაერია. არადა, იმავე როლანდ გილიგაშვილის განცხადებით, თუ პრობლემა არ მოგვარდა, ციხეებიდან მასობრივი გაქცევები კვლავაც გაგრძელდება.

მოკლედ

საქართველოს საჰაერო ძალებმა პროფესიული დღესასწაული აღნიშნეს

თბილისი. საქართველოს საჰაერო ძალებმა გუშინ პროფესიული დღესასწაული «ქართული ავიაციის დღე" აღნიშნეს. საზეიმო ღონისძიებას ვერ დაესწრო საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე, რომელიც იალტაში, დსთ-ს სამიტზე იმყოფებოდა.

საზეიმო ღონისძიებები ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე გაიმართა. გუშინვე 11 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სამხედრო აეროდრომზე 1993 წელს აფხაზეთის ომში დაღუპული მფრინავის, პოლკოვნიკ ჯიმი მაისურაძის ხსოვნის მემორიალი გაიხსნა.

ღონისძიებას საჰაერო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი ჯოლბორდ ბერუზაშვილი, გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ იმნაძე, უცხოეთის ქვეყნების საქართველოში აკრედიტებული სამხედრო ატაშეები და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ. **ინტერ-პრესი**

თბილისის პრემიერმა თანამდებობა დატოვა

თბილისი. გუშინ დილით თბილისის პრემიერმა გია შერაძემ ოფიციალურად გააკეთა განცხადება თანამდებობის დატოვების შესახებ. როგორც ცნობილია, თბილისის აწ უკვე ყოფილი პრემიერი საპარლამენტო არჩევნებში სახელისუფლებო ბლოკის სიით მიიღებს მონაწილეობას. თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ რამდენიმე დღის წინათ იგი თავისი გუნდის წევრად დაასახელა და თავის შემდეგ მეორე კაცად მოიხსენია. **მედია-ნიუსი**

მონიტორინგი

სახელმწიფო ფინანსებში სრული ქაოსია

წინა კვირას გაგრძელდა აგვისტოს თვის ხელფასების დაფინანსება.

დაფინანსდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით გათვალისწინებული აგვისტოს თვის შრომის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტრომ ანალოგიური თანხები აგვისტოს თვის განმავლობაში მიიღო. ნათელია, რომ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა არ არის პრიორიტეტი. დაფინანსების რიგითობას სხვა ფაქტორები უფრო განსაზღვრავს.

წინა კვირას დაფინანსდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპეციალური ტრანსფერი, როცა დაუფინანსებელია უამრავი სოციალური ვალდებულება (პენსიები, ხელფასები), სპეცტრანსფერის გადარიცხვა, თან მხოლოდ ერთი რეგიონისათვის, გაუგებარია.

ნათელია, რომ სახელმწიფო ფინანსებში სრული ქაოსია. წლის ბოლომდე სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

2003 წლის 8 - 12 [illegible]

№	[illegible]	[illegible]
1	[illegible]	257.8
	[illegible]	257.8
2	[illegible]	1,779.6
	[illegible]	600.0
	[illegible]	412.9
	[illegible]	200.2
	[illegible]	175.5
	[illegible]	113.0
	[illegible]	90.0
	[illegible]	73.8
	[illegible]	24.5
	[illegible]	67.5
	[illegible]	22.2
3	[illegible]	100.0
4	[illegible]	300.3
	[illegible]	173.3
	[illegible]	100.0
	[illegible]	15.0
	[illegible]	6.0
	[illegible]	1.0
	[illegible]	5.0
5	[illegible]	310.2
	[illegible]	165.7
	[illegible]	75.0
	[illegible]	25.6
	[illegible]	22.3
	[illegible]	9.6
	[illegible]	4.3
	[illegible]	3.4
	[illegible]	3.3
6	[illegible]	1,000.0
	[illegible]	1,000.0
7	[illegible]	76.0
	[illegible]	50.0
	[illegible]	18.0
	[illegible]	8.0
8	[illegible]	434.6
	[illegible]	371.0
	[illegible]	32.3
	[illegible]	16.3
	[illegible]	15.0
9	[illegible]	30.0
	[illegible]	30.0
10	[illegible]	667.0
	[illegible]	99.0
	[illegible]	568.0
11	[illegible]	827.2
	[illegible]	750.7
	[illegible]	76.5

ფრთხილად, სარბიელზე რუსული ენერგოგიგანტია!

პირველი გვერდიდან

"იტერას" საქმიანობის სქემა, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის უშიშროების საბჭოში იწერება". ე.ი. "იტერა" რუსული პოლიტიკის საქართველოში განხორციელების ბერკეტადაა წარმოდგენილი, ხოლო ამ კომპანიის მხარდაჭერა რუსეთის მხარდაჭერას ნიშნავს.

- ექსპერტები სულ უფრო და უფრო ხშირად გვაფრთხილებენ, რომ რუსული ენერგოგიგანტები დსთ-ს სივრცის ქვეყნების ენერგოკომპანიებთან კორუფციულ გარიგებებში შედიან და შავ ფულს პრივატიზაციის გზით ათეთრებენ. ცნობილია თუ არა რაიმე ამ გარიგებების სქემის თაობაზე?

- რასაკვირველია. მაგალითად მოგიყვანთ "იტერა-გაზპრომის" ურთიერთობას. 1999-2000 წლებში "იტერას" მიერ დაფუძნებულ სხვადასხვა კერძო კომპანიებს "გაზპრომმა" შეუმჩნევლად გადასცა, დაახლოებით, ორი ტრილიონი კუბომეტრი მოცულობის გაზის საბადოები. გაზის ეს რაოდენობა მთელი ევროპის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს თითქმის ხუთი წლის განმავლობაში. "გაზპრომმა" მის მიერ შექმნილი ერთობლივი საწარმო "როსპანის" აქციებიდან თავისი წილი – 51 პროცენტი მიჰყიდა "იტერას" მიერ დაარსებულ "სტი-სიგმას" და შპს "ლანკა-პრომკომპლექტს". გაყიდვის მომენტში სასამართლომ "როსპანი", რატომღაც, გაკოტრებულად გამოაცხადა, თუმცა, ანალიტიკოსთა აზრით, ეს ხელოვნურად მოხდა, იმ მიზნით, რათა "იტერას" ეს აქციები რაც შეიძლება იაფად შეეძინა. ამით მოხდა სახელმწიფოს კუთვნილი აქციების ე.წ. "ფარული პრივატიზება". "იტერა" ანალოგიურად დაეუფლა "გაზპრომის" მონაწილეობით შექმნილი "რურგაზის", "სიბნეფტეგაზის"; "სევერნეფტეგაზპრომის" და "აჩიმნეფტეგაზის" წილებს. ამასთან, მთელი ამ ხნის მანძილზე "იტერა" იღებდა შემოსავლებს იქ, სადაც მათ "გაზპრომი" კარგავდა. ანუ "იტერამ" მოიგო იმ ბაზრებზე, რომლებიც მას "გაზპრომმა" ნებაყოფილობით დაუთმო.

ამასთან, 1998-99 წლებში "იტერას" მიერ გაზის შესყიდვა ხდებოდა იამალო-ნენეცკის ავტონომიურ ოლქში, რომლის გუბერნატორი მაშინ "გაზპრომის" დირექტორთა საბჭოს წევრი იყო. სარევიზიო მასალების მიხედვით, ადგილობრივი გადასახადების "ცოცხალი ფულით" გადახდის ნაცვლად, "გაზპრომმა" რეგიონს 66,7 მლრდ. კუბომეტრი გაზი მიაწოდა. ამ წლებში "გაზპრომის" მითითებით რეგიონმა თითქმის მთელი ეს გაზი მიჰყიდა "იტერას" მიერ შექმნილ კერძო სტრუქტურებს საბითუმო ფასით: ათასი კუბური მეტრი 54 რუბლად (2,2 აშშ დოლარი 1999 წ. კურსით). საინტერესოა, რომ თვით "მეჟრეგიონგაზის" მონაცემებითაც კი, ამ რეგიონში გაზის თვითღირებულება იყო 79,7 რუბლი ათას კუბურ მეტრზე. "იტერას" საშუალება მიეცა განეხორციელებინა გაზის ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში ოფშორული შპს "იტერა ინტერნეიშნლ ენერჯი კორპორეიშნ"-ის საშუალებით, 40-დან 80-მდე აშშ დოლარად ათას კუბმეტრზე. აშკარაა, რომ თუ "გაზპრომის" გაზი "იტერამ" 2 დოლარად შეიძინა, და შემდეგ იგი 80 დოლარად გაყიდა, პრაქტიკულად, მან იგი უფასოდ მიიღო. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ XXI საუკუნის დასაწყისში "იტერა" ოფშორული ჩრდილოვანი სტრუქტურიდან მძლავრ მომპოვებელ კომპანიად გადაიქცა. სპეციალური სქემების საშუალებით "გაზპრომმა" მას ციმბირის ხუთი მსხვილი საბადო გადასცა.

- ჩვენთვის ცნობილია, რომ ვიახირევის ჯგუფის "გაზპრომიდან" განდევნის შემდეგ "იტერას" პოზიციები შეერყა და ახლა "გაზპრომთან" პრობლემები აქვს...



- "გაზპრომს" თავისი საკუთარი სავაჭრო ორგანიზაციები აქვს: "მეჟრეგიონგაზი", რომელიც რუსეთის შიგნით ვაჭრობს, და "გაზექსპორტი". "გაზექსპორტის" ხელმძღვანელია რემ ვიახირევის ვაჟი იური. რ. ვიახირევის ქალიშვილი ტატიანა და ვიქტორ ჩერნომირდინის ვაჟი ვიტალი კი კომპანია "სტროიტრანსგაზის" მსხვილი აქციონერები არიან. ეს უკანასკნელი გაზის უცხოეთში ექსპორტს ახორციელებს. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ახლახან, 2002 წლის 26 სექტემბერს, "იტერას" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვ. პოტაპენკო "გაზპრომში" (ფილიალი "მეჟრეგიონგაზი") გადავიდა სამუშაოდ, რაც ამ ორი კომპანიის მჭიდრო კავშირზე და არა მათ შორის ვითომდა დაპირისპირებაზე მიუთითებს.

- შეგვიძლია თუ არა, წინასწარ ვივარაუდოთ, რა სქემებს მიმართავენ "გაზპრომი" ან "იტერა", რომლის საკუთრებაშიც "აზოტი" და 12 გაზგამანაწილებელი ქსელია, ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩასაგდებად?

- ანალოგიად, შესაძლოა, "იტერა ინტერნეიშნლ ენერჯი"-ს მიერ ლატვიის სახელმწიფო გაზის კომპანია "ლატვიიას გაზე"-ს პრივატიზების ზოგიერთი მომენტი გამოგვადგეს. "ლატვიიას გაზე"-სთვის საკმაოდ სარფიანი იყო "იტერასთან" თანამშრომლობა, რადგან, "გაზპრომთან" შედარებით, "იტერა" მას ზემოთგანხილული სქემების წყალობით გაზს, ისევ "გაზპრომის" მილსადენებით, 10 პროცენტით იაფად აწვდიდა და თანაც, ყოველ ათას კუბომეტრ გაზში 5-6 აშშ დოლარ მოგებას იღებდა.

"იტერა" მონაწილეობდა გარიგებაში, რომლითაც "ლატვიიას გაზე"-ს აქციების პაკეტი მის ხელში გადავიდა. ეროვნული ინტერესების გათვალისწინების მოჩვენებითობის შესაქმნელად, აქციების ერთი ნაწილი გერმანულ "რურგაზს" და მასთან დაკავშირებულ ადგილობრივ კერძო სტრუქტურებს მიეყიდა. "იტერას" მიერ ადგილობრივ მოხელეებთან მჭიდრო კავშირურთიერთობის ფონზე აქციების 27 პროცენტის გაყიდვის აუქციონში მონაწილეობა ვერც კი გაბედა მსოფლიოში ცნობილმა "გაზ დე ფრანსმა". შედეგად, რუსული სტრუქტურების ხელში აღმოჩნდა "ლატვიიას გაზე"-ს აქციების 60 პროცენტზე მეტი. გარიგების შედეგად, ლატვიის ბიუჯეტმა, სულ ცოტა, 1 მილიონი დოლარი დაკარგა. ამჟამად ლატვიის გაზის ბაზრის ორი მესამედი "იტერას" მიერ კონტროლდება. ამასთან, "გაზპრომის" მიერ პირდაპირ მიწოდებული გაზისა და "იტერას" გაზის ფასს შორის სხვაობა თითქმის 20 აშშ დოლარს შეადგენს. შედეგად, რუსეთის ბიუჯეტი მხოლოდ ლატვიის ბაზარზე წელიწადში 22 მლნ. დოლარს კარგავს, ხოლო "იტერა" იგებს 1,6 მლნ. დოლარს.

"იტერა" ახლაც ცდილობს, ლატვიის სხვა მომგებიანი საწარმოები ხელში ჩაიგდოს. "იტერა-ლატვიას" წარმომადგენლის ე. კაუპუჟის საშუალებით, ლატვიის საზღვაო სანაოსნოს სახელმწიფო აქციების შესყიდვაც მალე მოხდება. გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, "იტერა" მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებებს უწევს ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიებს. ის პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ "ლატვიიას გაზე"-ს "იტერას" ხელში გადასვლას, თანამდებობებიდან გათავისუფლდნენ. ხოლო ვინც ლობირებდნენ - ("ლატვიიას გაზე"-ს დირექტორი დავისი და ლატვიის პრივატიზაციის სააგენტოს ხელმძღვანელი ნაგლისი), ადგილებზე დარჩნენ.

- ახლა, როდესაც საქართველოს გაზის მომწოდებელი "გაზპრომი" ხდება, "იტერა" პოზიციებს კარგავს. შესაბამისად, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ადგილობრივი გაზგამანაწილებელი სტრუქტურების მიმართ მისი ინტერესი გაიზრდება. აქვს თუ არა ამ პირობებში მას შანსები იმისა, რომ ამ სფეროზე კონტროლი მოიპოვოს?

- საქართველოში "იტერა", როგორც გაზის მომწოდებელი, 1995 წლიდან გამოჩნდა. რაც შეეხება პრივატიზების პროცესებს, "თბილგაზის" პრივატიზების პირველი მცდელობა 1998 წელს ჰქონდა ს/ს "საქგაზს" ("იტერას" შვილობილი, ყოფილი ს/ს "ინტერგაზი"), რომელიც "იტერასთან" კავშირს დიდხანს მალავდა. მაშინ მას "თბილგაზის" აქციათა პაკეტის 76 პროცენტი საინვესტიციო კონკურსის გზით უნდა შეეძინა. თუმცა, ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ კონკურსის შედეგები გააუქმა.

"ინტერგაზი" დაფუძნებულია შპს "ინტერპაკის" მიერ, რომელიც "Channel International LTD"-ის მიერ დაფუძნებული ოფშორული კომპანიაა. თავად "Chanell" კი შექმნილია ასევე ოფშორული "Alsotransinternational LTD"-ის მიერ, რომელსაც ოფისები აქვს მოსკოვსა და ლონდონში. მის უკან დგას ჯგუფი "იტერა". სწორედ "საქგაზმა" (ყოფილმა "ინტერგაზმა") შეისყიდა სააქციო საზოგადოებების "რუსთავგაზის", "ბოლნისგაზის", "ქუთაისგაზის", "გორიგაზის", "კასპიგაზის", "თეთრიწყაროგაზის" აქციათა საკონტროლო პაკეტები.

ნიშანდობლივია, რომ "საქტრანსგაზმრეწვის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტის მართვის უფლებით გადასაცემი კონკურსის მოსამზადებელ პერიოდში, 1998 წელს, პრეზიდენტის და ქონების მართვის მინისტრის სახელზე "ინტერგაზის" (ამჟამად "საქგაზის") მხარდამჭერი წერილები მოვიდა "გაზპრომისა" და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის, "ურალგაზის" ხელმძღვანელობისაგან.

ანუ, "გაზპრომმა" "ფარული პრივატიზების" გზით, აქტივები "იტერას" გადასცა და ამის შედეგად მიღებული "შავი ფული" საქართველოს გაზგამანაწილებელ ქსელში გაათეთრა (სასამართლო აუქციონების გზით "რუსთავგაზის", "ბოლნისგაზის", "ქუთაისგაზის", "გორიგაზის", "კასპიგაზის", "თეთრიწყაროგაზის" დაყადაღებისა და პრივატიზების). "თბილგაზის" პრივატიზების შემთხვევაშიც მოსალოდნელია იგივე სცენარის გათამაშება. მართალია, კანონებში "სააღსრულებო საქმისწარმოების" და "გაკოტრების შესახებ", 2002 წლის 14 თებერვლის ცვლილებებით "თბილგაზი" არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას, იძულებით აუქციონს, ყადაღის დადებასა და სეკვესტრს, მაგრამ პოტენციურმა ინვესტორმა შეიძლება თავისი წილი ისე გაყიდოს, რომ ქართულ მხარეს არც კი ჰკითხოს (ისე, როგორც ეს "თელასის" შემთხვევაში მოხდა).

- როგორ შეიძლება ყოველივე ამისგან თავი დავიზღვიოთ?

- სახელმწიფომ პრივატიზების შემთხვევაში აქციების ნაწილი არ უნდა გაყიდოს და მუნიციპალურ საკუთრებაში დატოვოს. ანუ, "მეწარმეთა შესახებ" კანონის 54.7 მუხლის თანახმად, რომლითაც გაყიდვაზე საჭიროა აქციონერთა 3/4-ის თანხმობა, აუცილებელი იქნება მუნიციპალიტეტის ხელში დარჩეს აქციების 1/4 პლიუს ერთი აქცია მაინც.

ესაუბრა მაია ურუშაძე

როდის აღიმართება წმინდა სამების ჯვარი

შეიძლება რესტავრაცია ჯვართამაღლების დღესასწაულამდე ვერ მოესწროს.

საქართველოს საპატრიარქოს სურვილი ჰქონდა, რომ 27 სექტემბერს, ჯვართამაღლებას წმინდა სამების ტაძარზე აღმართულიყო ბრწყინვალე მოოქროვილი ჯვარი. ჩანაფიქრით, წინა დღით მორწმუნე მრევლს ჯვარი საკუთარი ხელით უნდა აეტანა ტაძრის ეზოში, სადაც მას საქართველოს პატრიარქი აკურთხებდა და ხალხიც ემთხვეოდა, მაგრამ ამ დიდი სიხარულის განხორციელება ეჭვქვეშ დადგა.

ზაზა ფარუაშვილი

წმინდა სამების ჯვრის კონსტრუქცია რუსთავის მექანიკურ ქარხანაში შეიქმნა, რის შემდეგაც იგი “მიონში” უნდა შეემოსათ, მაგრამ მოვლენები სხვანაირად განვითარდა. ამის შესახებ გვიამბობს საეკლესიო სახელოსნოების ხელმძღვანელი მამა ტარიელი:

“ძალიან დიდი სურვილი გვქონდა, რომ ჯვარი ჩვენ დაგვემზადებინა, მაგრამ, რატომღაც ამის უფლება ვერ მივიღეთ. შემდეგ გვინდოდა, შეგვემოსა მაინც, მაგრამ ჯვარი “მიონში” წაიღეს. საწინააღმდეგო არაფერი გვქონდა, ვინაიდან ვიცოდით, რომ იქ კარგი სპეციალისტები ჰყავთ და ტექნოლოგიაც შესაბამისი აქვთ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, “მიონში” ეს ვერ შეძლეს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში დარწმუნებული ვიყავით, რომ ღმერთი შეგვეწეოდა და ასეც მოხდა. ჯვარი შესამოსად აქ მობრძანდა, “ჯვრის მამის” ტაძარში. ეს ჯვარი “ჯვრის მამამ” ჩაიხუტა. “ჯვრის მამა” შემოსავს მას და გამშვენიერებულსა და გაბრწყინებულს მიუჩენს ადგილს წმინდა სამების ტაძრის გუმბათზე.”

ყველაფერი ასეც მოხდება, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძლება ჯვართამაღლების დღესასწაულზე ვერ მოესწროს. მამა ტარიელისა და საპატრიარქოს მხატვრის გიორგი ღუდუშაურის განმარტებით, რომლებიც ჯვრის შემოსვის სამუშაოებს ასრულებენ, დაგვიანების მიზეზი უსახსრობაა, - წმინდა სამების ტაძრის მშენებლობის ფონდიდან თანხა ბოლომდე ვერ მივიღეთო.

“50 ათასი დოლარი გადმორიცხულია. დარჩენილია 20 ათასი დოლარი, რამაც შეაფერხა კიდეც სამუშაოები. ფონდის დირექტორი ირაკლი ანდრიაძე გვპირდება, მაგრამ თანხა ჯერჯერობით არ ჩანს,” – ამბობს გიორგი ღუდუშაური.

“საწყენი კიდევ ისაა, რომ ხალხი, რომელსაც უნდოდა ამ საქმეს ფულით შეწეოდა, უკან გავაბრუნე. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ირაკლი ანდრიაძემ გვთხოვა, - ფულის გადმორიცხვა პრეზიდენტს უნდა და სხვას ნუღარ ჩავრევთო. ახლა ვნანობ, რომ ის ხალხი გავაჩერე და სამუშაო შეფერხდა,” – გვითხრა მამა ტარიელმა.

ამის შემდეგ კომენტარი ირაკლი ანდრიაძესაც ვთხოვეთ:

“უსახსრობა აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ყველაფერს თავისი წესი აქვს. დარჩენილი თანხა - 15 პროცენტი - მაშინ უნდა გადაირიცხოს, როცა კომისია ნამუშევარს ჩაიბარებს. მთლიანობაში გადარიცხული გვაქვს 110 ათასი დოლარი. 6 ათასი დოლარი ედუარდ შევარდნაძემ პირადი ანგარიშიდან გადარიცხა.

ჩვენ ავირჩიეთ ჯვრის შემოსვის ისეთი ტექნოლოგია, რომელიც ფერს არ დაკარგავს 50 წლის განმავლობაში. ჯერ ხდება სპილენძის მოვერცხლვა, შემდეგ მოოქროება.

მოგეხსენებათ, საქმე ძვირფას ლითონებს ეხება. ამიტომ მეცნიერებისა და ზარაფხანის წარმომადგენლების მიერ ხდება ყველაფრის აწონვა, სათანადო აღრიცხვა, ჟურნალში გატარება, რაც დროს მოითხოვს. მართალია, გვინდოდა, ჯვართამაღლებისთვის მოგვესწრო, მაგრამ ამასთან დაკავშირებით საუბარი მქონდა პატრიარქთან, რომელმაც ბრძანა, რომ სამუშაოები როცა დასრულდება, ჯვარიც მაშინ აღიმართება.”

- თქვენ ამბობთ, რომ უსახსრობა არაფერ შუაშია, ე.ი. ფონდში თანხა არის?

- ანგარიშზე თანხა არის და ხვალვე (ანუ დღეს – ზ.ფ.) გადავრიცხავ.

- ასეთ შემთხვევაში, მოესწრება თუ არა?

- ვერ გეტყვით, ხვალ-ზეგ პატრიარქს შევხვდები და ყველაფერი გაირკვევა.

დადიანების სასახლეში უკანონო რესტავრაცია მიმდინარეობს

დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის თავმჯდომარეს გიორგი კალანდიასა და ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის დირექტორს გონელი არახამიას შორის დაწყებული დავა გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში კალანდიას სასარგებლოდ გადაწყდა. მუზეუმის დირექტორი ფონდის თავმჯდომარეს პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის შელახვაში სდებდა ბრალს.

თამარ დვალი

2003 წლის 19 თებერვალს გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” გამოქვეყნდა დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის თავმჯდომარის გიორგი კალანდიას პუბლიკაცია, სადაც იგი ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის დირექტორს გონელი არახამიას მუზეუმში ჩადენილი უამრავი კანონდარღვევისთვის ადანაშაულებდა. არახამიამ ზემოთ აღნიშნული პუბლიკაცია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველად მიიჩნია და ვაკე-საბურთალოს სასამართლოში კალანდიას წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. საქმეს მოსამართლე ნონა ზარქუა განიხილავდა.

კალანდია თავის სტატიაში მუზეუმის დირექტორს შემდეგ ბრალდებებს უყენებდა:

“უსაფრთხოების სათანადო ნორმების დაუცველობის გამო 1991 წელს მძარცველებმა საგამოფენო დარბაზიდან გაიტანეს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის უნიკალური სერვიზი, რომელიც დღემდე არაა ნაპოვნი. ასევე, მუზეუმიდან დაიკარგა ორი ავტობუსი. ამავე წელს არახამიამ შესაბამის უწყებებთან შეუთანხმებლად, თვითნებურად გადააკეთა ნიკო დადიანის სასახლის ტრიუმფალური შესასვლელი - მიაშენა მას ე.წ სათავსოები და ისინი ლითონის ფურცლებით დაფარა, რითაც დამახინჯდა სასახლის უნიკალური იერი.

1990 წელს დირექტორის ხელწერილითა და ნებართვით დადიანების სასახლეებიდან გაიტანეს და ეროვნულ გვარდიას გადასცეს 120 სამუზეუმო ცეცხლსასროლი იარაღი, რომლებიც მუზეუმის ფონდში აღარ დაბრუნებულა.

2001 წელს კანონის უხეში დარღვევითა და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გვერდის ავლით, არახამიამ ხელშეკრულება გააფორმა ერთ-ერთ კერძო ფირმასთან და მას იჯარით, 10 წლის ვადით (თვეში 1010 ლარად) გადასცა დადიანების ეზოს 4000 კვადრატული მეტრი მიწა, რომელზეც აშენდა არქიტექტურული ანსამბლისთვის სრულიად შეუფერებელი გასართობი ობიექტი.

დირექტორის დანაშაულებრივი გულგრილობის გამო მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში გაფუჭდა და დაიმტვრა ფრიდრიხ კრიუგერის, პიერ ბლანშარის და ვასილ ტიმის რესტავრირებული, უნიკალური ნამუშევრები.”

სასამართლომ მოსარჩელეს, სარჩელის უსაფუძვლობის გამო, საქმის განხილვაზე უარი უთხრა. გონელი არახამია ორ კვირაში საოლქო სასამართლოში აპირებს ჩივილს. კალანდიას ადვოკატი ლევან იოსელიანი არ გამორიცხავს, რომ შეიძლება, ამჯერად თავად გიორგი კალანდიამ შეიტანოს სასამართლოში სარჩელი და არახამიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ითხოვოს.

„ხელმოწერა არ შედგება!„

პირველი გვერდიდან

მოგვიანებით ამ დანაპირების წერილობითი დოკუმენტი სტუდენტებს მეუფე ზენონმა წარუდგინა. წერილში სახელმწიფო მინისტრი პატრიარქს საქართველოს პრეზიდენტის სახელით მიმართავდა:

“თქვენო უწმინდესობავ, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საქართველოსა და ვატიკანის სახელმწიფოებს შორის დაგეგმილი ხელშეკრულების ხელმოწერა და შესაბამისი ნოტების გაცვლა, საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, არ შედგება. აქვე მოგახსენებთ, რომ ამ თემაზე დიალოგი გაგრძელდება საქართველოს საპატრიარქოსა და ქართული საზოგადოების ფართო სპექტრის მონაწილეობით.”

მეუფე ზენონმა ახალგაზრდებს მადლობა გადაუხადა ეროვნული აზროვნებისა და თანადგომისათვის:**“მადლობას გიხდით იმისათვის, რომ დღეს ერთმანეთს ქართული სული შეახსენეთ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება აღიარებული, საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე მუხლის თანახმად, განსაკუთრებული პრიორიტეტი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს მინიჭებული, რაც აისახა კიდეც საკონსტიტუციო შეთანხმებაში, რომელიც სახელმწიფოსა და ეკლესიის მიმართებას განსაზღვრავს.”**

აქციის მონაწილეები პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მრავალჟამიერით შეეგებნენ.

მეუფე ზენონს ახლდნენ - ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსი მეუფე თეოდორე, სტეფანწმიდის ეპისკოპოსი მეუფე პეტრე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი მამა ზაქარია.

აქციის მონაწილეები პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მრავალჟამიერით შეეგებნენ. ამის შემდეგ კი სიონის საკათედრო ტაძრისკენ გაემართნენ, რათა ერთად დასწრებოდნენ სამადლობელ პარაკლისს.

არჩევნებში ვაკისა და საბურთალოს რაიონებში "ერთობა" ქალბატონებს უთმობს ასპარეზს

პოლიტიკური ბლოკი "ერთობა" 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ვაკის და საბურთალოს რაიონებში ასპარეზს ქალბატონებს უთმობს. ვაკის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი "ერთობის" ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე ლელა მათიაშვილი იქნება, საბურთალოზე კი - ლალი მეტრეველი.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ბლოკის ლიდერმა ჯუმბერ პატიაშვილმა ქალთა ორგანიზაცია "დედოზარის" კონფერენციაზე წარადგინა, რომელიც დღეს ე.წ "ლეჩკომბინატის" სააქტო დარბაზში გაიმართა.

პატიაშვილის განცხადების თანახმად, ხვალ გახდება ცნობილი "ერთობისა" და მამუკა გიორგაძის "სახალხო პარტიის" შესაძლო გაერთიანების თაობაზე.

თავად კონფერენცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თემას და საქართველოში არსებულ ქალთა პრობლემებს მიეძღვნა.

ინტერ-პრესი

ჯუმბერ პატიაშვილი მამუკა გიორგაძესთან გაერთიანებას აპირებს.

ზღვარზე

„მომუშავე ღარიბები„ - XXI საუკუნის საქართველოს რეალობა

IREX

ნაწილი მეორე

არასკმარისი კვება, როგორც სიღარიბის უკიდურესი ნიშანი, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, როგორც ვნახეთ, დამახასიათებელია. ბუნებრივია, ამგვარ ფონზე ეს ერთადერთი მახასიათებელი ვერ იქნება. საქართველოს მოსახლეობის წინაშე სერიოზულად დგას ჯანმრთელობის დაცვის თუ არასაკვები პროდუქტების შეძენის, ასევე განათლების მიღების პრობლემა. გაერო-ს განვითარების პროგრამის ჰუმანური განვითარების ანგარიშის მიხედვით, ავადმყოფობას ჩვენს ქვეყანაში შეიძლება მოჰყვეს ოჯახის ვალში ჩავარდნა და სიღარიბე.

მაკა ჯაიანი

როგორც ანგარიშის მომზადებისას ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, მკურნალობაზე თავის არიდების მარტივი მიზეზი საქართველოში არის უფულობა, რის გამოც, ქვეყნის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ჯანმრთელობის დაცვაზე ხელი არ მიუწვდება. რა თქმა უნდა, მეტად უჭირთ სოციალურად ყველაზე დაბალ ზღვარზე მყოფ ადამიანებს. მათი ჯანმრთელობაც, შესაბამისად, ბევრად უარესია. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, სად ცხოვრობენ ისინი – სოფლად თუ ქალაქად. ადამიანები იმ შემთხვევაშიც არ მიმართავენ ექიმს, როცა მიაჩნიათ, რომ ეს მათი ჯანმრთელობისთვის აუცილებელია.

ანგარიშის მიხედვით, ეროვნული ჰუმანური განვითარების ანგარიშის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების საშუალოდ 10 პროცენტმა მიმართა სამედიცინო დახმარებას, 90 პროცენტმა კი – არა. ამ 90-დან 27,5 პროცენტმა ექიმს არ მიმართა იმის მიუხედავადაც კი, როცა თვლიდა, რომ ეს აუცილებელი იყო. 90 პროცენტმა არ მიაშურა ექიმს, ვინაიდან ვერ შეძლებდა ვიზიტის საფასურის გადახდას. თუ ყველა ამ პროცენტულ მაჩვენებელს ერთად აიღებთ, ვნახავთ, რომ უფულობის გამო, ექიმთან მიუსვლელობა წესად იქცა და გამონაკლისი შემთხვევად აღარ ჩაითვლება.

პრობლემა მხოლოდ ეს არაა. ისინი, ვინც ექიმთან მისასვლელ თანხებს შოულობენ, სხვა ბარიერებს აწყდებიან – წამლების შესაძენი თანხა არ აქვთ. “სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების 21 პროცენტმა ექიმთან ვიზიტის შემდეგ ვერ შეძლო წამლის შეძენა. ეს მაჩვენებელი 27,9 პროცენტს აღწევს უკიდურესი სიღარიბის ზღვარზე მყოფ ადამიანებს შორის”, - ვკითხულობთ ანგარიშში. მონაცემების საერთო შეჯამებით შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე ღარიბთა მთლიანი რაოდენობიდან მკურნალობას მხოლოდ 24 პროცენტი ახერხებს.

ხშირად ეს სრულფასოვანი მკურნალობაც არაა. უკიდურესად ღარიბ იმ ადამიანთა სიიდან, რომელთაც ექიმის დახმარება ესაჭიროებოდათ, მხოლოდ 156 პროცენტმა მოახერხა მკურნალობის სრული კურსის ჩატარება. მიუხედავად ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ჩატარებული რამდენიმეწლიანი რეფორმებისა, პროგრამებისა, რომლებიც ქაღალდზე ქვეყნის სოციალურად ყველაზე დაუცველი მოსახლეობისთვის იქმნება, სამედიცინო მომსახურება დღემდე ხელმიუწვდომელია მათთვის, ვინც ამ საჭიროების წინაშე დგას. დეკლარირებული პრიორიტეტები რეალური ამ შემთხვევაშიც არაა.

როგორც აღმოჩნდა, ღარიბი ოჯახები, ბავშვების გარეშე, საქართველოს მოსახლეობის 4,9 პროცენტს შეადგენენ. საქართველოს ღარიბებში მათი წილი გაცილებით დიდია – 10,68 პროცენტი. ეროვნული ჰუმანური განვითარების ანგარიშის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, შვილების გარეშე, ოჯახების 40,06 პროცენტი იმყოფება. სიღარიბის ყველაზე დაბალ ზღვარზე მარტოხელა პენსიონერები და ბავშვიანი პენსიონერები არიან. ამ ადამიანების, შესაბამისად, 72,78 და 75 პროცენტი იმყოფება ეროვნული ჰუმანური განვითარების სიღარიბის ზღვარს ქვემოთ.

მათ მარტოხელა დედებისა და სამუშაო ასაკის მარტოხელა ზრდასრული ადამიანებისგან შემდგარი ჯგუფები მოსდევს. საინტერესოა, რომ დიდ ოჯახებს, ბავშვებით იქნებიან ისინი თუ უბავშვებოდ, და ოჯახებს, რომლებიც ერთი ზრდასრული ადამიანისა და პენსიონერისაგან შედგებიან, თითქმის, ერთნაირად უჭირთ. ღარიბების რაოდენობა ყველაზე ნაკლებია იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც შედგება წყვილებისგან, ბავშვებითა და ბავშვების გარეშე. პენსიონერები საქართველოში იმ ჯგუფს ქმნიან, რომელშიც სიღარიბის შემთხვევები ყველაზე მაღალია.

პენსიონერები და ბავშვიანი პენსიონერები სოციალურად ორ ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ. ეს არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ასაკის გამო ვერ მუშაობენ და მთლიანად არიან დამოკიდებულნი პენსიაზე, რომელიც ჩვენს შემთხვევაში მიზერული და ძალზე არასტაბილურია. ბიუჯეტის სეკვესტრი და სოციალური ფონდების არასწორი მართვა პირდაპირ თუ ირიბად იწვევს პენსიების დავალიანებას, რის შედეგადაც ამ ადამიანების ბიუჯეტი 1/3-ით მცირდება და ისინი შიმშილის საშიშროების წინაშე დგებიან. იგივეს ასკვნის ანგარიშიც.

ღარიბების დიდ წილს საქართველოში შეადგენენ შრომისუუნარო და უმუშევარი ადამიანები. სიღარიბის დონე ამ ჯგუფში, ასევე, ყველაზე მაღალია და მათი, თითქმის, ნახევარი ეროვნული ჰუმანური განვითარების ანგარიშის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. შემდეგ ადგილზეა ნახევარ განაკვეთზე მომუშავე და დროებით დასაქმებული ადამიანების ჯგუფი (47, 66 პროცენტი), მათ დამქირავებელი/მეწარმე მოსდევს (40,82 პროცენტი). უკიდურესად ღარიბების, დაახლოებით, 70 პროცენტი თვეში 60 ლარზე ნაკლებს გამოიმუშავებს, 35 პროცენტი – 10-3 ლარს.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სეგმენტი საქართველოში აშკარად არ აჩვენებს სიღარიბის ტენდენციებს, სიღრმისეული კვლევები სახასიათო დასკვნებს იძლევა. აი, რას აფიქსირებს ამ კუთხით ჰუმანური განვითარების ანგარიში: განათლების საკითხმა ჩვენში უკანა პლანზე გადაინაცვლა, ვინაიდან მოსახლეობას მიაჩნია, რომ კარგი განათლება არ უკავშირდება კარგ სამუშაო ადგილს და, უმჯობესია, გქონდეს საჭირო კონტაქტები და საკმარისი ფული, რომ სასურველი სამუშაო ადგილი იყიდო. ასე ფიქრობენ ქვეყანაში, სადაც უნივერსიტეტის დიპლომის მქონეთა 40 პროცენტი სიღარიბის ზღვარზეა.

პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

სასარგებლო ხელშეკრულება

გუშინ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ და საბერძნეთის ელჩმა საქართველოში ქალბატონმა კონსტანტინა მაურის კელიდისმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ჯანდაცვის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

“როცა მთელი მსოფლიო ებრძვის ახალ-ახალ რთულ დაავადებებს, ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, დავეხმაროთ საქართველოს და ამავე დროს გავიზიაროთ მისი დიდი გამოცდილება,” – განაცხადა საბერძნეთის ელჩმა.

“საბერძნეთი განვითარებული ქვეყანაა და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ჯანდაცვის თანამედროვე ინფრასტრუქტურა აქვს. ამდენად, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი ხელშეკრულება. იგი გულისხმობს სპეციალისტების გაცვლას, ერთობლივ სამეცნიერო მუშაობას, ურთიერთინფორმირებას და ა.შ.,” – აღნიშნა ამირან გამყრელიძემ. **24 საათი**

ორი სიტყვით

გალი. აფხაზმა სამხედროებმა ამ დღეებში გალის რაიონის სოფელ საბერიოში ახალი სასაზღვრო საგუშაგო გახსნეს, სადაც სამსახურს ამ ეტაპზე, ჯერჯერობით, მხოლოდ 30 აფხაზი სამხედრო გადის. აღნიშნული საგუშაგოს საბერიოში გახსნას სეპარატისტებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამით აფხაზები მდინარე ენგურის ცენტრალური ხიდიდან დაბა ჯვრამდე არსებული მონაკვეთისა და გალი-ჯვრის საავტომობილო გზის გაკონტროლებას შეძლებენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიბლიოთეკების გადარჩენისა და მათი წიგნებით მომარაგების მიზნით, დღეს საბავშვო ქალაქ „მზიურში“ საქველმოქმედო აქცია გაიმართება. შოუ-ბიზნესის ახალგაზრდა წარმომადგენლები გამართავენ კონცერტს, ხოლო მაყურებლებს ამ აქციაზე დასწრება ერთი წიგნის შეწირვით შეუძლიათ. ეს წიგნები თბილისის სკოლების ბიბლიოთეკებს გადაეცემათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში ბოლო 8 თვის განმავლობაში მალარიის 251 ახალი შემთხვევის გამოვლენის მიუხედავად, სპეციალისტები შეშფოთებას არ გამოთქვამენ და მიიჩნევენ, რომ ეს რიცხვი შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირეა. როგორც მალარიის პროგრამის კოორდინატორი მერაბ იოსავა აცხადებს, ახალი შემთხვევების გამოვლენა, ძირითადად, ისევ ძველ კერებში, კახეთის რეგიონზე, კერძოდ კი, სიღნაღის რაიონზე მოდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ტუბერკულიოზისა და ფილტვის დაავადებათა ცენტრის რეაბილიტაციის პროექტზე მუშაობა კვლავ მიმდინარეობს და ახალი წლისთვის უკვე ცენტრის განახლება დაიწყება. ცენტრის ხელმძღვანელის გიორგი ხეჩინაშვილის ცნობით, თბილისის პარალელურად ტუბერკულიოზის დაავადებათა სამკურნალო დაწესებულებების განახლება ქუთაისში, გურჯაანში, რუსთავსა და აბასთუმანშიც მიმდინარეობს. მომავალი წლისთვის ქუთაისში დამატებით 40 საწოლის, გურჯაანში – 30-ის, რუსთავში – 30-ის და აბასთუმანში 100 საწოლის დადგმა გახდება შესაძლებელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ერევანი. მსოფლიო ბანკი სომხეთის ატომური ელექტროსადგურის რუსული კომპანიის "ინტერ რაო ეესის“ მმართველობაში გადაცემას დადებითად აფასებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ერევანი. სომხეთი დსთ-ს ფარგლებში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის ინიციატივით გამოდის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საოკეანო სანაოსნო კომპანიის ფლოტი უახლოეს მომავალში ორი ახალი გემით შეივსება. გემ "ჟიული შარტავას" მშენებლობა დასრულდება 7 მარტამდე, როცა საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას 60 წლისთავი აღინიშნება. გემ "ჭაბუა ამირეჯიბის" მშენებლობა კი ივლისისთვის დასრულდება. ორივე გემი შენდება სამხრეთ კორეის ქალაქ ულსანში, კომპანია "ჰიუნდაი მიპოს“ გემთსაშენში. ეს იქნება თანამედროვე კლასის, ორმაგი ძირის მქონე 35.000-ტონიანი ტანკერები. ერთი გემის ღირებულება 26.84 მილიონი დოლარია. **მედია-ნიუსი**

არაფატის ბედზე გაერო-ს გენერალური ასამბლეა მსჯელობს

REUTERS

გუშინ გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ საგანგებო სხდომა გამართა, რომელიც არაფატის "მოშორების" შესახებ ისრაელის გადაწყვეტილების განხილვას ეძღვნება. გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში ეს საკითხი არაბულ სახელმწიფოთა ლიგის და მიუმხრობელთა მოძრაობის მოთხოვნით დადგა. ამ მოწოდებით არაბული ქვეყნები მას შემდეგ გამოვიდნენ, რაც გაერო-ს უშიშროების საბჭოზე მიღებულ რეზოლუციას, რომელიც არაფატის "მოშორების" შესახებ ისრაელის გადაწყვეტილებას გმობდა, აშშ-მ ვეტო დაადო. ვაშინგტონმა ეს ნაბიჯი იმ მოტივით ახსნა, რომ რეზოლუციის პროექტში არ იყო დაგმობილი პალესტინური ტერორისტული ორგანიზაციების: "ჰამასის," "ისლამური ჯიჰადის" და "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადების" ძალადობრივი და სისხლიანი ქმედებები. პალესტინამ და მთელმა არაბულმა სამყარომ აშშ-ს მიერ ვეტოს გამოყენება აღიქვა არაფატის ლიკვიდაციაზე ლიცენზიად.

არაფატის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა კი კვლავ დრამატულ ხასიათს ინარჩუნებს. მის რეზიდენციასთან, რამალაში, პალესტინელებმა მუდმივი მორიგეობის რეჟიმი გამოაცხადეს, რათა არ დაუშვან ისრაელის არმიის სპეცნაწილების მიერ ისრაელის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. თავად არაფატი კი აცხადებს, რომ ის პალესტინის მიწაზე მოკვდება.

გენერალური ასამბლეა გუშინ სწორედ ამ მდგომარეობის განმუხტვის მიზნით შეიკრიბა. ასამბლეის პრესმდივნის მიშელ მონტასის განცხადებით, დელეგატები არაფატის ბედისა და ისრაელის გადაწყვეტილების მართებულობის შესახებ იმსჯელებენ, რის შემდეგაც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ. თუმცა, ექსპერტები აქედანვე აცხადებენ, რომ ეს მხოლოდ პოლიტიკური დეკლარაცია იქნება, რაც ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებაზე რეალურ გავლენას ვერ მოახდენს. ყველა აღიარებს, რომ ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც ვითარების შეცვლა შეუძლია, შეერთებული შტატებია. ვაშინგტონი კი არსად ჩქარობს და მოვლენების განვითარებას მშვიდად აკვირდება. თუმცა თეთრი სახლი უკვე აშკარად აკეთებს არაფატის საწინააღმდეგო განცხადებებს. გუშინწინ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა პირდაპირ განაცხადა, რომ არაფატმა სამშვიდობო გეგმა - "საგზაო რუკა" - დაასამარა და ის არშემდგარი ლიდერია.

ევროკავშირი ვალდებულებების აღებას გაურბის

ჰეიკი თალვითისათვის ნათელია მთავარი. მისი დანიშვნა ევროკავშირის პირველ სპეციალურ წარმომადგენლად კავკასიაში - რეგიონისადმი ევროკავშირის მზარდ ინტერესზე მეტყველებს.

მისთვის ასევე აშკარაა - ეს არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირი კავკასიასთან ურთიერთობების ახალ ხარისხში აყვანას აპირებს. მომავალში ამ ურთიერთობების საფუძვლად კვლავ "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" ხელშეკრულებები დარჩება.

"რადიო თავისუფლებისათვის" მიცემულ ინტერვიუში იგი აღიარებს, რომ მისი ახლანდელი პოსტის შემოღება იყო კომპენსაცია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის, რომლებიც ევროკავშირის "ახალი სამეზობლო ინიციატივის" გარეთ დარჩნენ.

"როდესაც ახალი სამეზობლო ინიციატივა შემუშავდა, კავკასიაში ბევრს არ ესიამოვნა ის ფაქტი, რომ რეგიონი ამ ინიციატივის მიღმა დარჩა. მე ვფიქრობ, რომ ამის გამო, ევროკავშირი უფრო მეტად დაინტერესდა ჩემი თანამდებობის შექმნით," – ამბობს თალვითი.

თალვითი გამოცდილი დიპლომატია. ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს იგი კარგად იცნობს. უმუშავია ფინეთის ელჩად რუსეთში, 1995-1996 წლებში კი ეუთო-ს "მინსკის ჯგუფის" თავმჯდომარე იყო. ეს ჯგუფი ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრაზე მუშაობს.

იგი აცხადებს, რომ მისი პირველი მოვალეობები თავისი ადგილის მოძებნა და კავკასიის მიმართ ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობაა. მართალია, მისი მანდატი ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან წელიწადში ორჯერ გაგრძელებას საჭიროებს, მაგრამ თალვითი მაინც მიიჩნევს, რომ მას ამ პოსტზე დიდხანს მოუწევს დარჩენა.

თალვითი აღიარებს, რომ მისი სამსახური არ იქნება ადვილი, რეგიონში ჯერ კიდევ არ არსებობს განვითარების მთავარი წინაპირობა – უსაფრთხოება. "კავკასიის სამივე სახელმწიფოს და სხვა ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული რეგიონის საქმეებში, საერთო მიზანი აქვთ: სტაბილურობა. იგივე შეიძლება ითქვას დიდი სახელმწიფოების შესახებაც. აქედან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ქვეყნის ინტერესები," – ამბობს იგი.

მისი თქმით, რეგიონში ევროკავშირის მთავარი მიზანი დემოკრატიული სტაბილურობაა. ცვლილებები და, მაშასადამე, რეფორმა აუცილებელია, მაგრამ იგი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, რათა შენარჩუნებულ იქნას სტაბილურობა. მართალია, რეგიონში არსებობს "დემოკრატიული განვითარების ზოგიერთი ასპექტი", მაგრამ სერიოზული პროგრესის მიღწევას გადაუჭრელი კონფლიქტები უშლის ხელს.

კონფლიქტები კი არც ისე ცოტაა. ყარაბაღი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, და ამას დამატებული უამრავი პრობლემა ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით.

თალვითი ამბობს, რომ მისი მანდატი მხოლოდ დახმარებას ითვალისწინებს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც კონფლიქტების მოგვარებაში არიან ჩართული. თავად ევროკავშირი მოლაპარაკებებში მონაწილეობას არ მიიღებს.

თალვითი პირდაპირ პასუხს არ იძლევა კითხვაზე, რა როლს ასრულებს რეგიონში რუსეთი და ამბობს, რომ საჭიროა როგორც სამივე ქვეყნის დამოუკიდებლობის, ისე სხვა ქვეყნების ინტერესების პატივისცემა.

"ამ რეგიონთან რუსეთს ხანგრძლივი ისტორია აკავშირებს. ეს ისტორია მოიცავს პოლიტიკურ, სამხედრო და კულტურულ ასპექტებს. რუსეთის დღევანდელი ინტერესებიც ამ ისტორიას ასახავს. დღესაც, რუსეთი დაჟინებით იღწვის თავისი ინტერესების ხორცშესხმისათვის. მაგრამ, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ კავკასიის სამივე ქვეყანა სუვერენული სახელმწიფოა. საჭიროა სხვა ქვეყნების, აშშ-სა და ევროკავშირის ინტერესების გათვალისწინებაც".

თალვითის თქმით, რუსეთი ახლა იცდის. ინიციატივის თავის თავზე აღებას, ურჩევნია დაელოდოს და ნახოს, რა პოზიციას დაიკავებს ევროკავშირი.

თალვითიმ არ ისურვა პასუხი გაეცა კითხვაზე - რამდენად მზად არიან კავკასიის სახელმწიფოთა პრეზიდენტები თანამშრომლობისათვის. მისი თქმით, თუ ამ ქვეყნებს ერთიანი ევროპული ოჯახის წევრობა სურთ, მაშინ მათ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა აუცილებლად მოუწევთ.

"მთავარი დადებითი ფაქტორი ევროკავშირისათვის ის არის, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ნებაყოფლობით გამოთქვამენ სურვილს, გახდნენ ევროპული ოჯახის – და არა ევროკავშირის – წევრები. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი აფასებენ ევროპულ ღირებულებებს და მზად არიან, შეცვალონ თავიანთი კანონმდებლობა და იგი ევროპულ სტანდარტებს შეუსაბამონ," - დასძინა მან.

თალვითის თქმით, სამი ქვეყანა მანამდე ვერ გახდება "სამეზობლო ინიციატივის" წევრი, სანამ მათ ევროკავშირთან საერთო საზღვარი არ ექნებათ. ინიციატივის წევრები, სხვებთან ერთად, ამჟამად არიან რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი და მოლდოვა.

ევროკავშირის მეორე ჩინოვნიკმა, რომელმაც ანონიმად დარჩენა ისურვა, განაცხადა, რომ კავკასიის ქვეყნებს ამ ინიციატივაში მოსახვედრად კიდევ ხუთი წელი მაინც დასჭირდებათ. ის ფაქტი, რომ ევროკავშირი კავკასიასთან დაკავშირებით არანაირ ვალდებულებას არ იღებს, იმით აიხსნება, რომ ეს ორგანიზაცია დღეს უფრო მეტადაა დაკავებული თავისი სამხრეთელი მეზობლებით, და თანაც, კავკასიიდან მომავალ რაიმე საფრთხეს ვერ ხედავს.

რადიო თავისუფლება

არჩევნების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა

პირველი გვერდიდან

- ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ნატო-სთან "პროგრამა პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში, აგრეთვე, კარგი ურთიერთობები გვაქვს ნატო-ს წევრ ბევრ სახელმწიფოსთან. სომხეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს. რაც შეეხება ნატო-სთან ურთიერთობას, ჩვენ არ მივდივართ ხმამაღალი განცხადებების გზით და წყნარად ვაგრძელებთ ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას. არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ სომხეთ-თურქეთის ჩაკეტილი საზღვარი ავტომატურად ნატო-სთან ჩაკეტილ საზღვარსაც ნიშნავს.

- როგორ იმოქმედა რუსული ბიზნესის აქტიურმა შემოსვლამ სომხეთში ქვეყნის ეკონომიკაზე?

- ნებისმიერი უცხოური ინვესტიცია, რომელიც სომხეთში შემოდის, დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. მთავარი ის კი არ არის, რომელი ქვეყნიდან მოდის ინვესტიცია, არამედ ის, თუ რამდენად ეფექტურია იგი. რუსულ ბიზნესთან ერთად, სომხეთში შემოდის ამერიკული, კანადური, ჩინური და ა.შ. ინვესტიციები. გარიგებამ "ქონება ვალების სანაცვლოდ" მოგვცა საშუალება, არა მხოლოდ ვალები გაგვესტუმრებინა, არამედ აგვემუშავებინა საწარმოები, რომლებიც დიდხანს იყო გაჩერებული.

- რამდენად პერსპექტიულია აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა და რამდენად მნიშვნელოვანია ეს სომხეთისათვის?

- ეს ჩემს ქართველ კოლეგებს უნდა ჰკითხოთ. მე შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო, რომ დღეს ამის უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს, ვიდრე გასულ წლებში. მე ამას ისევ კავკასიაში რუსეთის, აშშ-სა და ევროკავშირის ინტერესების დამთხვევით ავხსნიდი. ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიაში სპეციალური წარმომადგენელიც კი დანიშნა. მისი მანდატი კავკასიის კონფლიქტების დარეგულირების ხელშეწყობასაც გულისხმობს. საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა.

აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის გახსნა სომხეთისათვის ძალზე მიმზიდველია, რადგან თურქეთთან საზღვრის გახსნასთან ერთად, ჩვენთვის იგი გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი კიდევ ერთი გზაა.

დახმარებისათვის მადლობას ვუხდით "მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს"

პომპეზური სამიტის უფერული მოვლენები

პირველი გვერდიდან

REUTERS

იალტის სამიტზე "ოთხთა კავშირი" შეიქმნა.

მართალია, ილჰამ ალიევი სამიტზე ავადმყოფ მამას ცვლიდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ მას პრეზიდენტის როლი უკვე მორგებული აქვს. ყოველ შემთხვევაში პრემიერ ალიევის გრაფიკი პრეზიდენტ ალიევის გრაფიკისგან არაფრით იყო განსხვავებული. მას დანიშნული ჰქონდა შეხვედრები ყაზახეთის, უკრაინის, ბელორუსის და საქართველოს პრეზიდენტებთან. მაგრამ პირველი შეხვედრა, რასაკვირველია, მან "უფროს ძმასთან" - ვლადიმირ პუტინთან გამართა.

"მოხარული ვარ თქვენი ხილვით ახალ ხარისხში. ეს ძალიან წარმატებული არჩევანია," - არ დაიშურა ქათინაური ვლადიმირ პუტინმა თავისი მომავალი აზერბაიჯანელი კოლეგისათვის და, ჯერჯერობით, გაპრემიერმინისტრების მილოცვით შემოიფარგლა. მან ილჰამ ალიევი ოფიციალური და სამუშაო ვიზიტით მოსკოვშიც მიიწვია. **"ჩვენ ვიცით, რომ აზერბაიჯანი წინასაარჩევნო ბრძოლების პირობებში იმყოფება, მაგრამ ამან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განვითარების ტემპზე გავლენა არ უნდა მოახდინოს,"** - დასძინა პუტინმა. თუ როდის გაიმართება ილჰამ ალიევის წინასაარჩევნო რუსული ვოიაჟი, ჯერჯერობით, უცნობია. თავის მხრივ, აზერბაიჯანის მომავალმა პრეზიდენტმა მამის სიტყვები გაიხსენა და განაცხადა, რომ – რუსეთი აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორია. ეს რომ ასეა და ასე იქნება, ამაში ილჰამი პუტინის დარწმუნებას შეეცადა და, ალბთ, არცთუ წარუმატებლად. მოკლედ, აზერბაიჯანის მომავალი პრეზიდენტის პირველი გასვლითი ტურნე, რომელიც თითქმის პრეზიდენტის რანგში იყო აყვანილი, უკვე წარმატებით შედგა.

მეორე, რითაც შეიძლება იალტის სამიტის გამორჩევა სხვა წინამორბედი, მსგავსი შეხვედრებისგან, "ოთხთა კავშირის" შექმნაა. მიუხედავად იმისა, რომ დსთ-ის ფარგლებში შესანიშნავი კვარტეტი ჯერ გაფორმებული არ არის, უკვე გუშინვე ცხადი გახდა, რომ ბელორუსს, ყაზახეთს, უკრაინასა და რუსეთს შორის ხელშეკრულების გაფორმებას ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის შესახებ წინ არაფერი დაუდგება, თუკი უკრაინის ხელისუფლება ამ თემაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდება.

პრეზიდენტ პუტინის განცხადებით, ამ შეთანხმებას კომპრომისული ხასიათი ექნება. **"მომზადებული დოკუმენტები იძლევა იმის საშუალებას, რათა მიღწეული შეთანხმებების რეალიზება ძალზე უმტკივნეულოდ მოხდეს,"** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა. რუსეთის პრეზიდენტმა ამასთან დაკავშირებით გამოთქვა რწმენა, რომ ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა ოთხივე ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება. თუ რამდენად არის ეს უკრაინის ეროვნული ინტერესი, ამაზე ეჭვს გამოთქვამენ როგორც უკრაინელი პოლიტიკოსები, ასევე უცხოელი ექსპერტები და დიპლომატები. სკეპტიკოსთა აზრით, უკრაინის შესვლა "ოთხთა კავშირში" ხელს შეუშლის ქვეყნის ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სრუქტურებში. ასეთი მოსაზრებები უკვე გამოთქვეს ევროკავშირის, ნატო-ს და აშშ-ს წარმომადგენლებმა. **"ჩემი აზრით, ეს შეთანხმება არ თანხვდება უკრაინის ეროვნულ ინტერესებს,"** - განაცხადა უკრაინაში აშშ-ს ელჩმა ჯონ ჰერბსტმა. ევროკომისიის წევრმა გიუნტერ ვერჰოიგენმა კი, რომელიც ევროკავშირის გაფართოების საკითხზეა პასუხისმგებელი, განაცხადა, რომ საბაჟო კავშირის შექმნა ოთხ ქვეყანას შორის აშკარად ეწინააღმდეგება კიევის გეგმებს ევროკავშირში შევსლასთან დაკავშირებით. თუმცა, თავად უკრაინის ხელისუფლება კვლავ ორმაგი სტანდარტებით ცდილობს პოლიტიკური თამაშის წესების დაცვას. **"ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი შეუცვლელია. ეს კურსი ევროპასთან ინტეგრაციაში მდგომარეობს. არავითარი წინააღმდეგობა არ იქნება, თუკი უკრაინა დსთ-ის ქვეყნებთანაც ითანამშრომლებს,"** - განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კონსტანტინ გრიშენკომ. რაც შეეხება პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას, ის მაინც ცდილობს, რომ პოლიტიკური მანევრებისათვის დამატებითი სივრცე დაიტოვოს. მისი განცხადებით, უკრაინის "ოთხთა კავშირში" შესვლასთან დაკავშირებით, შესაძლოა, საყოველთაო სახალხო რეფერენდუმიც კი გაიმართოს.

ამდენად, "შესანიშნავი ოთხეულის" ბედი, ჯერჯერობით, კვლავ გაურკვეველია. რაც შეეხება სხვა მოვლენებს, იალტის სამიტი, როგორც აღვნიშნეთ, ანალოგიური სერობებისგან არაფრით ყოფილა გამორჩეული. აფხაზეთის საკითხი საერთოდ არ განუხილავთ, გაკვრით შეეხნენ, შევარდნაძის შეხსენების შემდეგ პუტინმა პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ სხვა კონფლიქტებთან ერთად მოიხსენია; პუტინი შევარდნაძეს საერთოდ არ შეხვედრია და დაქადნების მიუხედავად, არც ყურადღების მიღმა დარჩენილ შევარდნაძეს დაუტოვებია სამიტი.

ვაშინგტონი „იზაბელას„ გადაურჩა

გუშინ "იზაბელას" სახელით ცნობილმა ძლიერმა ქარიშხალმა აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს გადაუარა, რის შედეგადაც ცამეტი ადამიანი დაიღუპა, 4,5 მილიონამდე საცხოვრებელი სახლი და სხვა შენობა-ნაგებობები ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ამჟამად "იზაბელა" შესუსტებულია და ტროპიკულ შტორმად გადაიქცა.

მეტეოროლოგთა ცნობით, ქარიშხალმა დამანგრეველი ძალა დაკარგა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ფედერალურმა მთავრობამ ვაშინგტონში მუშაობა შეაჩერა, დედაქალაქი ნგრევას და სტიქიურ უბედურებას გადაურჩა. ვაშინგტონში "იზაბელა" მხოლოდ ტროპიკული შტორმის სახით თუ მიაღწევს, რასაც არანაირი ტრაგიკული შედეგი არ მოჰყვება. ყოველ შემთხვევაში, ასეთია სინოპტიკოსთა და მეტეოროლოგთა ვარაუდი. ტროპიკულ შტორმად გადაქცევამდე კი, "იზაბელამ" ვირჯინიისა და ჩრდილოეთ კაროლინას შტატების დაზარალება შეძლო. ეს რაიონები აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უკვე გამოაცხადა სტიქიური უბედურების ზონად. პრეზიდენტის გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ ვირჯინიას და ჩრდილოეთ კაროლინას ფედერალური დახმარება გაეწევათ. გრიგალის შედეგად მიყენებული მიახლოებითი ზარალი მილიარდ ამერიკულ დოლარს აღემატება.

REUTERS

მეტეოროლოგთა ცნობით, ქარიშხალმა დამანგრეველი ძალა დაკარგა.

მოკლედ

მეწამორის ატომური ელექტროსადგური რუსეთს გადაეცა

ამ კვირაში ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, მეწამორის აესი მართვის უფლებით "რაოს" შვილობილ კომპანიას – ''ინტერრაოს'' გადაეცა.

აეს-ს 40 მილიონი დოლარი – მიწოდებული ბირთვული საწვავის საფასური უნდა გადაეხადა რუსეთისათვის. ვალი ''რაომ'' გადაიხადა და, სანაცვლოდ, მეწამორის მართვის უფლებაც მიიღო.

აესი სომხეთის ელექტროენერგიის დაახლოებით 40 პროცენტს გამოიმუშავებს.

ქალბატონებო და ბატონებო!

სასწრაფოდ ვიწვევთ ხუთ თანამშრომელს საოფისე საპასუხისმგებლო სამსახურზე. არსებობს ხელფასის ზრდის პერსპექტივა, საზღვარგარეთ გამგზავრება სწავლის, მუშაობისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. გვესაჭიროება უმაღლესი განათლების მქონე პირები.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ:
79 65 24 ლია (საღამოს საათებში).

პროექტი "ქართული სახლი"
კონკურსი - "ქართული დიზაინი"

პროექტ "ქართულის სახლის" ეგიდით, 24 სექტემბერს, 15 საათზე, ღია ცის ქვეშ მუზეუმში გაიმართება კონკურსის "ქართულის დიზაინი" შედეგების შეჯამება და გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოვება.

კონკურსის საპრიზო ფონდია: **I** პრემია - 4000 ლარი
- **II** პრემია (ორი) - 2000 ლარი
- **III** პრემია (სამი) - 1000 ლარი
- კონკურსის ჟიურის თავჯდომარე **გივი მეტრეველი**.
- დაწესებულია სპეციალური პრიზი - 500 ლარი, რომლის თაობაზე გა დაწყვეტილებას ჟურნალისტების ალტერნატიული ჟიური მიიღებს.

კონკურსის ორგანიზატორები:
- კომპანია "არსი"
- სტუდია "ორი"

კონკურსის სპონსორები:
TBC - ბანკი, GPI ჰოლდინგი, კომპანია "არსი", GGMW კომპანია, სტუდია "ორი", კომპანია "ორრი", "რუსთავი 2" და ვალერი გელაშვილი

საინფორმაციო მხარდაჭერა:
გაზეთები - "24 საათი", "დილის გაზეთი", "ახალი ეპოქა", "რეზონანსი". ჟურნალები: "გზა", "თბილისელები", "სტილი".

კონკურსის პრომოუტერი: საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა"

კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ: ტელ.: 251904, (877) 497103 .
www.georgianhouse.ge

ნინო I

განქორწინება და ქორწინება 32 საათში

რაინერ კალმუნდი და სილვია.

ბოლო სამი-ოთხი დღის განმავლობაში რაინერ კალმუნდი მასმედიის საყვარელ პერსონად იქცა. გერმანიაში არ დარჩენილა არც ერთი ბულვარული თუ სერიოზული გაზეთი, პირველ გვერდზე ლევერკუზენის "ბაიერის" XXL მენეჯერის გაღიმებული ფოტო რომ არ გამოექვეყნებინა. მიზეზი? კალმუნდის უსწრაფესი განქორწინება და ასევე უსწრაფესი დაქორწინება. სულ რაღაც 32 საათში ამ უცნაურმა კაცმა ყველაფერი მოასწრო - ყოფილ ცოლთან გაშორებაც და მეორედ დაქორწინებაც. ახლა უკვე მემკვიდრეზეცაა ლაპარაკი, იმის მიუხედავად, რომ კალმუნდს უკვე ხუთი შვილი ჰყავს ორი სხვადასხვა ცოლისგან.

შარშანდელი სეზონი რაინერ კალმუნდისთვის ჯოჯოხეთად იქცა. მისი "ბაიერი" მატჩს მატჩზე აგებდა და ბუნდესლიგიდან გავარდნის საფრთხის წინაშეც იდგა. რაღა არ იღონა კალმუნდმა - კლაუს ტოპმოლერიც კი გაუშვა გუნდიდან, კაცი, რომელმაც მანამდე ყველასთვის უცნობი ლევერკუზენელი კლუბი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა და თვით მადრიდის "რეალს" შეეცილა ჩემპიონთა თასს. "ტოპის" წასვლით და თომას ჰორსტერის მოსვლით "კალის" გუნდს ბევრი არაფერი შეცვლია, ლევერკუზენელები ისევ სუსტად თამაშობდნენ და მათი ყოველი მარცხი კალმუნდის გულსა და ნერვებს უდიდეს დარტყმას აყენებდა. ექიმები კალმუნდს უკვე სტადიონზე მისვლას უკრძალავდნენ. ლევერკუზენელთა მძიმეწონოსანი მენეჯერის პირად ექიმს მუდამ ჯიბეში ჰქონდა ნიტროგლიცერინი - პირველი დახმარების საშუალება ინფარქტის შემთხვევაში. ოჯახი, მეგობრები, ფანები შიშობდნენ, რომ კალმუნდი "ბაიერის" წარუმატებლობას ვერ გადაიტანდა და თავისი კლუბის ბუნდესლიგიდან გავარდნას შეეწირებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. "ბაიერი" მეორე ლიგაში დაქვეითებას გადაურჩა და კალმუნდმაც თავისუფლად ამოისუნთქა.

ახალი სეზონი ლევერკუზენელებმა ახალი თავკაცით და ახალი შემართებით დაიწყეს. კლაუს აუგენტალერის ხელმძღვანელობით "ბაიერი" დღემდე კარგად თამაშობს და ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზეც კი, რასაც ვერ მოახერხა ვერავინ სასტიკ მოუწყვეს "ბაიერმა". გუნდი კარგ ფორმაშია და რაინერ კალმუნდიც დამშვიდდა. ახლა "ბაიერს" ბუნდესლიგიდან გავარდნა აღარ ემუქრება და კალმუნდი ყოველღამ კოშმარებს აღარ ხედავს. უსიამოვნებები უკან დარჩა, "ასპირინების" უზარმაზარმა მენეჯერმა პირადი ბედნიერებისთვისაც კი მოიცალა, რისთვისაც აქამდე დრო არ რჩებოდა.

15 სექტმებერს რაინერ კალმუნდი ცოლს გაეყარა, მეორე დღეს კი უკვე თავის ახალგაზრდა მეგობართან, 31 წლის სილვიასთან ერთად იდგა საკურთხეველთან. სილვიამ ქორწინებამდე სულ რამდენიმე საათით ადრე გაიგო, რომ იმ საღამოს მისი და კალმუნდის ქორწილი იყო დანიშნული... ორშაბათს, დილის რვა საათზე, კალმუნდმა გადაწყვიტა, რომ უკვე დრო იყო, ოფიციალურად გაშორებოდა თავის ექს-მეუღლე დიანას. იმავე დღეს გაიკითხა, თუ რა უნდა გაეკეთებინა მეორედ დასაქორწინებლად. პასუხად მიიღო: თუ 12 საათამდე ყველა საბუთს მოიტანთ, 15 საათზე დაგაქორწინებთო. კალმუნდმა თავისი მეგობრები და ხელქვეითები ააწრიალა, ყველა საბუთს თავი მოუყარა, სუპერმარკეტში საქორწინო თაიგული იყიდა და 15 საათზე გაოგნებულ სილვიასთან ერთად გამოცხადდა ხელის მოსაწერად. ყველაფერი საოცრად სწრაფად მოხდა, სწორედ ისე, როგორც ეს უამრავი საქმით გადატვირთულ კაცს შეჰფერის, რომელსაც არ სჩვევია წვრილმანებზე დროის დაკარგვა. საქორწინო მოგზაურობაში, რა თქმა უნდა, არ წასულან. გახურებული სეზონის დროს კალმუნდი ხომ თავის "ბაიერს" ვერ მიატოვებდა! სილვია ხუმრობდა, ჩემი საქორწინო მოგზაურობა შაბათ საღამოს "ბაიარენაზე" წასვლა იყო, სადაც ლევერკუზენმა "ჰამბურგს" უმასპინძლაო.

სამაგიეროდ კალმუნდი დაჰპირდა, იანვარში, არდადეგების დროს, ფლორიდაში წაგიყვანო... ურიგო ნამდვილად არ უნდა იყოს იანვარში გაყინული გერმანიიდან მზით სავსე ფლორიდაში გადაფრენა...

ამ ბლიც-ქორწინებამ კალმუნდი საყოველთაოდ ცნობილი გახადა. ტელევიზია თუ პრესა დაუზარებლად იკვლევდა, როგორ აპირებენ ახალდაქორწინებულები მომავალში ერთად ცხოვრებას. კალმუნდს ხომ მხოლოდ ფეხბურთი უტრიალებს თავში. ამის მიუხედავად, რაინის კოლოსი დარწმუნებულია, რომ აუცილებლად გამონახავს თავისუფალ დროს ოჯახისთვის.

"ყოველთვის ვამბობდი, რომ ოჯახი ფეხბურთზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ თავად მუდამ პირიქით ვიქცეოდი. ფეხბურთზე უფრო მეტს ვფიქრობდი. ახლა ყველაფერი შეიცვლება. სილვიას უყვარს ფეხბურთი. სიამოვნებით ესწრება მატჩებს. ის სწორედ ის ქალია, რომელიც მე ასე მჭირდება. როგორც იქნა, ვიპოვე ნამდვილი მეგობარი", - განუცხადა კალმუნდმა ჟურნალისტებს.

რა იქნება მომავალში? კალმუნდი უკვე მეექვსე შვილზე ლაპარაკობს. "სილვიამ მითხრა, რომ ძალიან უნდა ბავშვი. მეც არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. ამას გარდა, წონაში დაკლებაც მსურს", - ასეთი გახლავთ სამომავლო გეგმები ჰერ კალმუნდისა, რომელიც ამჟამად 130 კილოგრამს იწონის, თუმცა, იმედი აქვს, რომ, თუ მოინდომებს და დიეტას დაიცავს, აუცილებლად გახდება. ჯერჯერობით რაინერ კალმუნდი ისევ XXL განყოფილებაში ყიდულობს ტანსაცმელს და არც პატარა "კალი მეექვსე" მოვლენია ამქვეყანას, მაგრამ ლევერკუზენელი კოლოსი მაინც ძალიან ბედნიერია. ეს ბედნიერება კი მას ფეხბურთმა და სიყვარულმა მოუტანა.

რაგბი

ხელისუფლებამ ფული ვერ გარდასახა

უფულოდ დარჩენილ "ბორჯღალოსნებს" სასტუმროდან ყრიან

პაატა თოთაძე

დღემდე ათასჭირგამოვლილ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს უახლოეს მომავალში კიდევ ერთი "სიურპრიზი" ელის – უფულობის გამო მონპელიეში შეკრებაზე მყოფ ბორჯღალოსნებს სასტუმროდან გამოსახლება ემუქრებათ. საჭირო თანხის გამოყოფაზე ფინანსთა სამინისტრომ გუშინ დილით უარი შეუთვალა რაგბის კავშირს.

უფულობაზე რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას აქამდეც არაერთხელ დაუჩივლია, მაგრამ დაიჩივლე და იყავი, თუ გამგონი არ გყავს. "ხელისუფლებას მორაგბეების მიმართ ცინიკური დამოკიდებულება აქვს. სხვანაირ შეფასებას ვერ მივცემ იმას, რაც ჩვენს თავს ხდება. მორაგბეებს თავისი ქვეყანა არასდროს შეურცხვენიათ და ვერ გამიგია, რით დაიმსახურეს ასეთი დამოკიდებულება ხელისუფლების მხრიდან. ჩვენს თხოვნას პრეზიდენტმაც დაადო რეზოლუცია, სახელმწიფო მინისტრმაც, მაგრამ იმ სამსახურებიდან, რომელთაც ფულის გამოყოფა ევალებათ, მუდამ უარს ვიღებთ", - გუშინ საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე განაცხადა რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ. როგორც გაირკვა, გეგიძე თანამდებობის დატოვებასაც აპირებდა, მაგრამ, ახლა ამის გაკეთება არასწორი საქციელი იქნებაო და, მანაც ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავი შეიკავა, თუმცა, მომხდარის გამო პროტესტი სხვაგვარად გამოხატა: "მსოფლიო თასზე საპატიო სტუმრის რანგში ვიყავი მიწვეული, მაგრამ წასვლას არ ვაპირებ".

ლეონსიო შეიძლება ნაკრებს დაუბრუნდეს.

ვიღაცას, შესაძლოა, იმის შეეშინდეს, ნაკრები მსოფლიო თასის გარეშე არ დარჩესო, მით უმეტეს, რომ ამის შესახებ უცხოურ სააგენტოებს არაერთხელ გაუვრცელებიათ ინფორმაცია. საქმე ისაა, რომ საქართველოს ნაკრების ვოიაჟს ავსტრალიაში რაგბის საერთაშორისო საბჭო (IRB) აფინანსებს. ამას ზედ ამატებს 150 000 გირვანქასაც, რომელიც ნაკრების მომზადებისთვის, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უნდა ყოფილიყო საკმარისი, მაგრამ იმის გამო, რომ რაგბის კავშირმა თავის დროზე ნაკრების ერთა თასისთვის მოსამზადებლად სხვადასხვა ორგანიზაციის ვალი აიღო, IRB-ს მიერ დღემდე გადმორიცხული ფულიც ამ ვალების გასტუმრებას მოხმარდა.

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ მწერალი დათო ტურაშვილი და გიორგი გაჩეჩილაძე (უცნობი). მათი თქმით, ხელისუფლების ასეთი ქმედება, უპირველესად, ერისა და ქვეყნის ღირსების შელახვაა. ისიც კი თქვეს, რაკი ბოლო დროს ყველაფერს რუსებს ვაძლევთ, მსოფლიო თასზე ასპარეზობის უფლებაც აქამდე ჩვენს მიერ არაერთგზის დამარცხებულ რუსებს ხომ არ დავუთმოთო...

ამ ყველაფრის შემდეგ ერთი სასიხარულო ამბავიც შევიტყვეთ. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მსოფლიო თასზე, შესაძლოა, ლევან ცაბაძემაც ითამაშოს. ქართველი პირველხაზელი დღეს მიემგზავრება საფრანგეთში, სადაც მკურნალობის სამკურნალო ინტენსიური კურსი უნდა გაიაროს, რის შემდეგაც, როგორც თავად ექიმები ვარაუდობენ, მოედანზე გასვლასაც შეძლებს. "ამის მერე დაახლოებით ერთი კვირა მჭირდება, რომ ბურთს ძველებურად შევეჩვიო და შეიძლება მსოფლიო თასზე ვითამაშო კიდეც", - "24 საათთან" საუბარში განაცხადა ცაბაძემ. მართალია, გუნდი უკვე დაკომპლექტებულია და რაგბის კავშირს ნაკრების წევრთა სიაც გაგზავნილი აქვს, მაგრამ, წესების თანახმად, თუ რომელიმე მოთამაშემ ტრავმა მიიღო ან პირადმა პრობლემებმა შეაწუხა, მისი შეცვლა ნებადართულია. ასე რომ, თუკი ცაბაძე მომჯობინდა და, იქიდან გამომდინარე, რომ ის გუნდს ძალიან სჭირდება, ნაკრების ხელმძღვანელობას შემადგენლობიდან რომელიმე მოთამაშის ამოღება მოუწევს. ამ შემთხვევაში შეცვლის მიზეზის პოვნა, ალბათ, არ გაძნელდება.

ალპინიზმი

მყინვარწვერი 80 წლის შემდეგ

გიგა გურასაშვილი

მყინვარწვერს (5033 მ.) არასდროს აკლდა ფათერაკის მაძიებლები, თუმცა, თუ პირველამსვლელთა ნაკვალევს გავყვებით, იგი 1868 წელთან მიგვიყვანს. მაშინ ასეთები გახლდნენ ინგლისელები, რომელთა ექსპედიციასაც მოგვიანებით ინგლისის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი დუგლას ფეშფილდი ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, ინგლისელთა ჯგუფსვე ეკუთვნის პირველი ოფიციალური ასვლები თეთნულდსა (4852 მ.) და იალბუზზე (5642 მ.), მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა. ქართველების მიერ მყინვარწვერის დაპყრობის ოფიციალურ თარიღად 1923 წელი ითვლება. მაშინ გიორგი ნიკოლაძისა და ალექსი დიდებულიძის ხელმძღვანელობით ორი ჯგუფისგან შემდგარი ექსპედიცია ყაზბეგისკენ გაეშურა. ნიკოლაძე პირველ, დიდებულიძე კი მეორე ჯგუფს ხელმძღვანელობდა. მიზანს ორივემ მიაღწია. ნიკოლაძის ჯგუფმა მყინვარწვერი 27 აგვისტოს დალაშქრა, დიდებულიძის ჯგუფმა - 3 სექტემბერს. მარშრუტიც ერთი ჰქონდათ - მათ "ხევის პატარძალს" დევდორაკის მხრიდან შეუტიეს. ასე რომ, 27 აგვისტოც და 3 სექტემბერიც შეიძლება ქართული ალპინიზმის დაბადების თარიღად ჩაითვალოს. ნიკოლაძე-დიდებულიძის ასვლა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მათ ბიძგი მისცეს ალპინიზმის განვითარებას არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირშიც. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ქართველებს 1923 წლამდე მწვერვალზე ასვლები არ განეხორციელებინოთ. საქმე ის არის, რომ პირველ ჯგუფს გამყოლად ახლდა იაგორ კაზალიკაშვილი, მეორეს კი - გახა წიკლაური, რომლებსაც მანამდე უცხოელებთან ერთად არაერთხელ დაეპყროთ მყინვარწვერი. კაზალიკაშვილი და წიკლაური იმ დროის ცნობილი გამყოლები იყვნენ. თუ უფრო ადრეულ წლებს გადავხედავთ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ყოველ შემთხვევაში, ვახუშტის "კალმასობაზე" დაყრდნობით ვიტყობთ, რომ მყინვარწვერი ვინმე იოსებ მოხევეს დაულაშქრავს. ამ ყველაფრის გადათვალიერების საშუალება მოგვცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი პრობლემური ლაბორატორიის გამგემ შოთა მირიანაშვილმა, რომელიც იმავდროულად საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციისა და უნივერსიტეტის ალპური კლუბის პრეზიდენტიცაა.

მყინვარწვერი.

მცირე ექსკურსის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მივაშუროთ. ახლა, როცა შევიტყვეთ, თუ როდიდან იღებს სათავეს ქართული ალპინიზმი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ წლეულს მყინვარწვერის დაპყრობიდან 80 წლის იუბილეა. ამ თარიღთან დაკავშირებით დღეს, დილით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ყაზბეგისკენ 40-კაციანი ექსპედიცია გაეშურა.

სხვათა შორის, უნივერსიტეტში ალპურ სექციას 1923 წელს ჩაეყარა საფუძველი. 1989 წელს კი ამავე ბაზაზე გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპური კლუბიც შეიქმნა. ეს ექსპედიციაც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპური კლუბისა და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თაოსნობით ეწყობა. ერთობლივ საიუბილეო ასვლაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ახალგაზრდა მთამსვლელები, ისე ვეტერანები. ისევე როგორც 1923 წელს, ექსპედიციის წევრები დევდორაკის გავლით შეუტევენ მყინვარწვერს.

ინფოთეკა

ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრას ოთხი განთესილი ეყოლება: ტურნირის მასპინძელი პორტუგალია, საფრანგეთი, როგორც ევროპის ჩემპიონი და კიდევ ორი გუნდი, რომელთა ვინაობა შესარჩევი ტურნირის დამთავრების შემდეგ გაირკვევა.

■ ■ ■

ფეხბურთი. უეფა აპირებს, გაზარდოს იმ დოპინგ-ტესტების რაოდენობა, რომელსაც სპორტსმენები ყოველი მატჩის შემდეგ გაივლიან. გერჰარდ აიგნერმა განაცხადა, რომ ეს რაოდენობა 21 პროცენტით გაიზრდება.

■ ■ ■

ფეხბურთი. რივალდოს აგენტმა უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს მისი კლიენტი "მილანის" დატოვებას აპირებს. ადრე იტალიურ პრესაში იბეჭდებოდა ინფორმაციები რივალდოს შესაძლო ტრანსფერის თაობაზე. თუმცა, რივალდოს აგენტმა მდგომარეობა განმარტა. "ხმები, რომლებსაც იტალიური პრესა ავრცელებდა, ტყუილია. რივალდოსა და "მილანს" ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ, - განაცხადა აგენტმა, - მართალია, ბოლო დროს ფეხბურთელს ხშირად სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მიზეზი გუნდის გამოსაცვლელად. მე ამ განცხადებას ფეხბურთელის თხოვნით ვაკეთებ".

■ ■ ■

ფეხბურთი. რომან აბრამოვიჩი მზად არის, "ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი შეიძინოს. "დეილი სტარის" ინფორმაციით, მერსისაიდელებს არ სურთ ფეხბურთელთან გამოთხოვება და მას 18-მილიონიან ახალ კონტრაქტს სთავაზობენ. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელის მოქმედი კონტრაქტი წელიწადნახევრის შემდეგ იწურება, მაგრამ აბრამოვიჩი მზად არის, "ლივერპულს" სერიოზული თანხა უკვე ამ სატრანსფერო დერეფნის გახსნის შემდეგ შესთავაზოს.

■ ■ ■

ფეხბურთი. საფრანგეთის ნაკრებისა და იტალიური "რომას" მცველი ჯონათან ძებინა მზად არის, დატოვოს რომი და ნისლიან ალბიონზე გადაბარგდეს. ფეხბურთელთან "რომას" ფანების ისედაც ცივი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაცივდა მას შემდეგ, რაც ძებინამ გუნდთან კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა. ფეხბურთელით, რომელიც ივნისში თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს, "არსენალი", "ლივერპული" და "ლიდსი" დაინტერესდნენ.

■ ■ ■

ფორმულა 1. "უილიამსის" გერმანელმა პილოტმა რალფ შუმახერმა განაცხადა, რომ თავის გუნდს ახალი კონტრაქტის თაობაზე უკვე მოელაპარაკა. ამჟამად კონტრაქტი შეჯერების სტადიაშია და მალე მხარეები ხელს მოაწერენ. ახალი შეთანხმების მიხედვით, რალფი გუნდში კიდევ ორ წელიწადს დარჩება.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ავსტრალიისა და შვეიცარიის გუნდებს შორის დევისის თასის გათამაშების ნახევარფინალში პირველი დღის შემდეგ ანგარიში თანაბარია - 1:1. ჯერ ლეიტონ ჰიუიტმა სამ სეტში დაამარცხა მიშელ კრატოშვილი - 6:4, 6:4, 6:1, ხოლო შემდეგ როჟე ფედერერმა ასევე სამ სეტში მოუგო მარკ ფილიპუსისს - 6:3, 6:4, 7:6 (7:3).

■ ■ ■

კრივი. 6 დეკემბერს ლას-ვეგასის რინგზე ორივე ძმა კლიჩკო იჩხუბებს. ვიტალი შეხვდება მოკრივეს, რომელმაც, ნებსით თუ უნებლიეთ, გზა გაუხსნა ლენოქს ლუისთან შესახვედრად. საუბარია კირკ ჯონსონზე. საქმე ის არის, რომ თავიდან, 2003 წლის 21 ივნისს, ლუისს სწორედ ჯონსონის წინააღმდეგ უნდა ეჩხუბა, მაგრამ მისი ტრავმის გამო ბრიტანელი იძულებული გახდა, უკრაინელთან შეხვედრაზე დათანხმებულიყო. მე დავიმსახურე ხუთი საუკეთესო მძიმეწონოსანი მოკრივიდან ერთ-ერთთან ჩხუბი და ვადასტურებ, რომ პლანეტის საუკეთესო მძიმეწონოსანი მოკრივე სწორედ მე გახლავართ. ახლა კი ამის დამტკიცება მომიწევს", - განაცხადა კირკ ჯონსონმა. ვიტალი კლიჩკოსა და კირკ ჯონსონის მატჩი 10-რაუნდიანი იქნება. ამ ბრძოლის წინ უმცროსი კლიჩკოს - ვლადიმირის ჩხუბი გაიმართება. მისი მეტოქის ვიანობა უახლოეს დღეებში გაირკვევა.

■ ■ ■

ველოსპორტი. იტალიელმა ალესანდრო პეტაკიმ მოიგო "ვუელტას" მე-12 ეტაპი, რომელიც 168,8 კილომეტრზე - ქუენკიდან ალბასეტემდე იყო გადაჭიმული. გერმანელი ერიკ ცაბელი ფინიშთან მეორე მივიდა.

შოუ-ბიზნესი

ელოდეთ დათო ხუჯაძეს...

მას შემდეგ, რაც კომპანია 5 Lines Production-მა და დათო ხუჯაძემ ერთობლივ პროექტს მოაწერეს ხელი, სტუდია 5 Lines Production Records-ში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. სულ ცოტა ხანში კონტრაქტით გათვალისწინებული ალბომის შვიდივე სიმღერა (აუდიოკასეტის სახით) მზად იქნება. კომპანიის წარმომადგენლები დარწმუნებულები არიან, რომ ისევე როგორც მომღერლის სხვა სიმღერები, ახალი ნამუშევრებიც მალე იქცევა ჰიტებად. მათ სასცენო პრემიერას დათო ხუჯაძე ახლო მომავალში გეგმავს. როგორც 5 Lines Production-ში ამბობენ, ალბომის უპირობო ჰიტი იქნება სიმღერა - "მელოდე შენთან მოვდივარ".

აღმოაჩინეს დავიწყებული კინოფირი

ავსტრიის სამაუწყებლო კორპორაცია ORF-ის არქივში ტელედოკუმენტალისტებმა აღმოაჩინეს ფირი, რომელიც აქამდე დაკარგული ეგონათ და სადაც ჯონ ლენონი და მიკ ჯაგერის შესახებ დოკუმენტური კადრებია ჩაწერილი. ფრაგმენტებს ფირიდან ტელეგადაცემაში "შაბათის არენა" BBC დღეს აჩვენებს.

ფირზე დაფიქსირებულია, თუ როგორ თამაშობენ ჭადრაკს ლენონი და იოკო ტიტენჰერსტ-პარკში მდებარე სახლში. ასევე აღბეჭდილია, როგორ ურთიერთობს ლენონთან და იოკოსთან მიკ ჯაგერი. ეს კადრები გადაღებული იყო "როლინგ სტოუნზის" და მეგრობების 1968 წლის დასასრულს გამართულ შეკრებაზე ფილმისთვის "როკ-ენ-როლის ცირკი". "არენას" თანამშრომლებმა დავიწყებული მასალები იპოვეს ORF-ის არქივის ერთ-ერთ ყუთში, რომელსაც ჰქონდა წარწერა – "სხვადასხვა".

"როკ-ენ-როლის ცირკი" ერთ-ერთი პროექტი იყო, რომელზეც ავსტრიელი პროდუსერი ჰანს პრეინერი მუშაობდა. 1968 წელს, ლონდონში ყოფნისას იღებდა ფილმს ლენონსა და იოკოზე ავსტრიული ტელესერიალისთვის "ავანგარდი".

ბოდი-არტი "ვია-გრასთან" ერთად

კომპანია 5 Lines Production-ის მიერ ორგანიზებულმა რუსული ტრიოს, "ვია-გრას" ტურნემ ამიერკავკასიაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თუმცა, როგორც სავარაუდოა, ყველაზე დიდ აჟიოტაჟს "ვია-გრა"-ს დაპირებული სიურპრიზი გამოიწვევს.

28 სექტემბერს "ვია-გრა" "აჭარა მიუზიკ ჰოლში" "ბოდი არტ სტუდიასთან" ერთად გამოვა ქართველი მაყურებლის წინაშე. არავინ იცის რით დასრულდება ექსცენტრიული გოგონების საღამო - სტრიპტიზ-შოუთი, სხეულის მოხატვით თუ... აღსანიშნავია, რომ სპორტის სასახლეში "ვია გრა"-ს კონცერტს ერთ-ერთი ძალიან ცნობილი სახე, დი ჯეი და ტელეწამყვანი წარუძღვება.

შოუ-პროგრამის ძირითადი ხაზი "ბოდი არტის" ექსკლუზიური თეატრალიზებული სანახაობა, სექსუალური "ვია-გრას" ახალი იმიჯი და დისკოთეკა იქნება. 29 სექტემბერს კი "ვია გრა" "აჭარა მიუზიკ ჰოლიდან" სპორტის სასახლეში გადაინაცვლებს. როგორც გოგონები გვპირდებიან, სპორტის სასახლეში მისულ ახალგაზრდობას არასოდეს დაავიწყებენ თავს. სპორტის სასახლეში "ვია-გრასთან" ერთად კომპანია 5 Lines Production-ის ჯგუფები და მეგობრები იმღერებენ.



პირველი სეზონი დამაარსებლის გარეშე

დღეს თეატრი "ვერიკო" მეჩვიდმეტე სეზონს ხსნის

დიმიტრი როგავა

1987 წლის 13 დეკემბერს დარეჯანის სასახლის ეზოში, ფერიცვალების ეკლესიაში აკაკი ბაქრაძისა და კოტე მახარაძის ლიტერატურულ მასალაზე აგებულმა სპექტაკლმა "რაც მტრობას დაუქცევია" საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სრულიად ახალი თეატრალური აზროვნების ჩამოყალიბებას. დღეს კი თბილისის თეატრალური ცხოვრება წარმოუდგენელია ამ თეატრის გარეშე.

გამოჩენილმა მსახიობმა და სპორტულმა კომენტატორმა, კოტე მახარაძემ წლების თავდაღმართზე ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმის წამოწყება და დამკვიდრება მოახერხა. მისი სპექტაკლები: "რაც მტრობას დაუქცევია", "გამოიღვიძე, ქნარო", "ბაგრატიონები", "აკაკი", "გააჩერეთ დედამიწა, მე აქ ჩამოვდივარ ანუ აისბერგი თიკუნით - სტალინი" დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელში.

მახარაძის სპექტაკლების არნახული წარმატების მიუხედავად, თეატრის დამაარსებელი მხოლოდ საკუთარი რეპერტუარით არ შემოფარგლულა. მან ფართოდ გაუღო კარი მსახიობებს, რომლებსაც სურვილი გაუჩნდათ ამ თეატრის სცენაზე ელვაწათ. სცენის გამოჩენილი მოღვაწეების: სოფიკო ჭიაურელის, მარინა ჯანაშიას, გიორგი გეგეჭკორის, მურმან ჯინორიას, მარლენ ეგუტიას გვერდით კოტე მახარაძის ინიციატივით ნინო ბურდულს, ელდინო საღარაძეს, ეკა ბაკურაძეს, დუტა სხირტლაძეს, ირაკლი ჩოლოყაშვილს, გია გოგიშვილს, პატარა გიორგი კალანდარიშვილს (წელს სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა) შემოქმედებითი ცხოვრების გამრავალფეროვნების საშუალება მიეცათ.

"ვერიკო" დღეიდან მაყურებელს ელის

თეატრის რეპერტუარში გამოჩნდა შექსპირის, მერიმეს, მარკესის, სანტანელის, დიურენმატის, ზიუსკინდის, ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, დუმბაძის, რჩეულიშვილის, ლევან სანიკიძის, ფოცხიშვილის, ბაძაღუას ნაწარმოებები; სპეციალურად ამ თეატრისათვის დაიწერა ჯემალ აჯიაშვილის, რევაზ კლდიაშვილის, თემურ შავლაძის პიესები.

კოტე მახარაძე "ბაგრატიონების" დადგმისათვის სანდრო ახმეტელის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა, სოფიკო ჭიაურელს ("დედა-დედოფალი") და მურმან ჯინორიას ("ზღვა ძალიან ღელავს") კი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიები მიენიჭათ. ქალბატონი სოფიკო რუსთავის მესამე საერთაშორისო ფესტივალზე (2000 წელს) რეჯინას როლის შესრულებისათვის ("დედა-დედოფალი") ქალის როლისათვის განკუთვნილი პრემიითაც დაჯილდოვდა.

მნიშვნელოვანი იყო შარშანდელ სეზონში, ამ თეატრში მოღვაწე რეჟისორების გვერდით (თ.კოშკაძე, დ.ხვთისიაშვილი, კ.მირიანაშვილი, გ.სიხარულიძე, ა.ჭიაურელი, ნ.ახვლედიანი, რ.სიხარულიძე, რ.მანუკიანი) გამოჩენილი კინორეჟისორის ნანა მჭედლიძის ("მარტოობის ბინადარი") და განსაკუთრებით კი, სახელგანთქმული მაესტროს თემურ ჩხეიძის ("სიყვარულის სულთათანა") გამოჩენა.

თეატრმა ორჯერ (კიევში და კიშინიოვში) მოიპოვა მონოსპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალების გრან-პრი, ხოლო წელს სანკტ-პეტერბურგის თეატრალურ დღეებზე სოფიკო ჭიაურელმა სპეციალური პრემია დაიმსახურა.

დიდი წარმატებით ჩაიარა თეატრის გასტროლებმა პარიზში.

ამ ყველაფრის გვირგვინად იქცა კოტე მახარაძისათვის (გარდაცვალების შემდეგ), ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრის დაარსებისათვის, რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭება.

დღეს, თავის მეჩვიდმეტე სეზონს თეატრი მისი დამაარსებლის გარეშე გახსნის. ვიდეოფირზე მოესწრო ბატონი კოტეს ყველა სპექტაკლის დაფიქსირება. ამიერიდან მისი შემოქმედება თეატრის რეპერტუარში ამ ფორმატით დამკვიდრდება. დღეს, ისევე როგორც თეატრის დაარსებისას "რაც მტრობას დაუქცევია" აჟღერდება.

ოქტომბრის პირველ ნახევარში თეატრი "ვერიკო" საგასტროლოდ მიემგზავრება კიევსა და მოსკოვში. საგასტროლო რეპერტუარშია: "დედა-დედოფალი", "სიყვარულის სულთათანა", "დროთა კავშირი დაირღვა" და "კონტრაბასი". ორივე ქალაქში გაიმართება ბატონი კოტეს ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები; მოსკოვის ქართული დიასპორისთვის ცალკე იგეგმება სოფიკო ჭიაურელის სპექტაკლის "მარტოობის ბინადარის" ჩვენებაც.

თეატრი მომავალი პრემიერებისთვისაც ემზადება: რეჟისორი გიორგი სიხარულიძე მსახიობ გია როინიშვილთან ერთად ამზადებს ოთარ პერტახიას მოთხრობის მიხედვით შექმნილ სპექტაკლს "ლიფტში", კოტე მირიანაშვილი კი მარინა ჯანაშიასთან ერთად მუშაობს სპექტაკლზე, რომელიც ბესიკის მუზას, ანა ბატონიშვილს მიეძღვნება.

თეატრი, რომელიც კვლავინდებურად ვერიკო ანჯაფარიძის და მიხეილ ჭიაურელის სახლ-მუზეუმს არის შეკედლებული, წლევანდელი სეზონიდან ახალი ლოგოთი მიიღებს მაყურებელს - თეატრი "ვერიკო", დამაარსებელი - კოტე მახარაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი - სოფიკო ჭიაურელი.

P.S. ამ ისტორიული სახლ-მუზეუმის გვერდით, ფიქრის გორაზე ტერიტორია უკვე არსებობს, სადაც კოტე მახარაძის დაარსებულმა თეატრმა უნდა დაიდოს ბინა. ერთი "უმნიშვნელო" დეტალიღა დარჩა - ფინანსები!!! არადა, ერთი, რომელიმე პარტიის წინასაარჩევნო ბიუჯეტი ნამდვილად ეყოფოდა...

ჩანთა, როგორც გამორჩეულობის ნიშანი

ნინო ჭანიშვილი

იმის მიხედვით თუ როგორ ჩანთას ატარებს ქალი, თავისუფლად შეგიძლიათ იმსჯელოთ მისი ხასიათის, მდგომარეობის და წარმატებულობის შესახებ. ქალის ჩაცმულობის განუყოფელი ნაწილი, ჩანთა ახალ სიმაღლეებს იპყრობს. რას გვთავაზობენ მსოფლიოს წამყვანი სამარკო ნიშნები?

ნუ იფიქრებთ იმაზე, რომ თბილისში ვერ შეიძენთ საკულტო ფირმების სახელობით ჩანთებს. თუ სურვილი და შესაძლებლობა გაგიჩნდათ, ახალი მოდელის ჩანთის შეძენას ინტერნეტის საშუალებითაც მოახერხებთ.

დღეს კი საკულტო ფირმების Lous Vuitton-ის, Gucci-ის და Christian Dior-ის მიერ შექმნილ რამდენიმე ახალ სახეს წარმოგიდგენთ.

Louis Vuitton – თუ Louis Vuitton-ის ჩანთა გაქვთ, ესე იგი, ცხოვრებაში ყველაფერი გამოგივიდათ. "ვიტონის" ჩანთები უკიდურესად შემდგარ და შეძლებულ პიროვნებებზეა გათვლილი.

ცნობისათვის, ეს ფირმაა, რომელმაც სამგზავრო ჩანთები საკულტო საგნებად აქცია. ფირმის მიერ გამოშვებული სამგზავრო ჩანთებისთვის სახელდახელოდ იყო შერჩეული მასალა და კონსტრუქცია, უსუფთავესად და უზუსტესად იყო დამუშავებული თითოეული დეტალი.

დღეს მოდურად ქცეული ლოგოტიპების დატანა, ჩანთებზე სწორედ ვიტონის სახლის შემოტანილია. ფირმის მონოგრამა მე-19 საუკუნეში ლუის ვიტონის ვაჟმა გეორგ ვიტონმა შექმნა. ვიტონის სახლმა მაშინათვე დაიტანა მონოგრამები სამგზავრო და ხელის ჩანთებზე.

ვიტონის ახალ მოდელებში ერთპიროვნულად დომინირებს ფირმის ლოგოტიპი - იქნება ეს თხის ტყავის, ატლასის თუ ტვიდის ჩანთა.

ვიტონის ფირმის ჩანთებს რამდენიმე ხაზი აქვს, რომელსაც საკუთარი სახელები აქვთ, სახელს არქმევენ ახალ მოდელებსაც.

ახალი წლისთვის ხაზი Suhali გამოუშვებს ახალ მოდელს - რბილ, ოქროსფერ და ვერცხლისფერ Affriolant-ს. მას მეტალის კუთხეები და შესაკრავები ექნება. ხაზმა Dhanura-ამ – გამოუშვა სპეციალური ჩანთა იოგაზე სასიარულოდ. ეს არის ჰორიზონტალურად წაგრძელებული ჩანთა. დღეს, საერთოდ ძალიან აქტუალურია ჰორიზონტალურად ძლიერ წაგრძელებული ჩანთები.

გასულ ზამთარს, ვიტონის სახლის არაჩვეულებრივად წარმატებულმა ხაზმა Multicolore-მა (ფერადი მონოგრამებით) გამოუშვა ახალი მოდელი Dalmatian. ეს არის ფერადი მონაგრამებით დაფარული ჩანთა, გაწყობილი "დალმატინის ტყავით".

ტვიდის ჩანთა მონოგრამებით "ლუის ვიტონისგან"

Latest Blond "დიორისაგან"

ახალი მოდელების ფასი ვიტონისგან 800-დან 6 ათას დოლარამდე მერყეობს.

Gucci – ეს ფირმაა რომელმაც ჩანთის დამოუკიდებელი იმიჯი შექმნა. უკვე გასული საუკუნის შუა ხანებში გუჩის ჩანთებს ატარებდნენ სოფი ლორენი, ვანესა რედგრეივი, ინგრიდ ბერგმანი. Louis Vuitton-საგან განსხვავებით "გუჩი" თავის ჩანთებს სახელებს არ არქმევს. ანდა, რა საჭიროა, როცა არსებობს ერთი საერთო სახელი "გუჩი".

ერთი წლის წინ "გუჩიმ" დაიწყო თავის ძველი მოდელების ასლების გაკეთება. მსურველებს შესაძლებლობა აქვთ გამოიწერონ "გუჩის" ძველი მოდელები გათანამედროვებული დიზაინით. რა თქმა უნდა, ჩანთის შეკვეთა შეიძლება ნებისმიერ ფირმაში, მაგრამ ვერც ერთი ვერ გაუწევს კონკურენციას იმ სახელებს, რომლებიც "გუჩის" ჩანთებს ატარებდნენ.

"გუჩისგან" არა მხოლოდ იმიჯს ყიდულობ, არამედ უძვირფასეს შეფუთვასაც. ჩანთები შავი ტყავის ფუტლიარებში ინახება, რომლებიც ხის ბალთებით იკვრება. როგორც მიხვდებოდით ეს ყუთებიც მეტად ფასეულია.

"გუჩის" მთავარი სიახლეა ჩანთის მოდელი, რომელიც მეორდება სხვადასხვა ფერების, მასალების და ზომების მიხედვით. ეს არის ჰორიზონტალურად წაგრძელებული ჩანთა ოქროს ჯაჭვზე, ოქროსივე ბალთა-ლოგოტიპით სახურავზე. ამ მოდელის სხვადასხვა ვარიაცია გამოვიდა – ნახევრად სპორტული (ჯიბეებით), ნახევრად პანკური (ბევრი შესაკრავებით), "ტრეშის" სტილში (ჩამოკონწიალებული წნულებით). "გუჩის" სეზონური სიახლეა ღვინისფერი, შავი ტყავით გაწყობილი, ბურგუნდიული ქაშმირის ხელჩანთა. ასევეა გაწყობილი რამდენიმე სხვადასხვა ფორმის და ზომის პორტმონე, რომელიც საშემოდგომო ჩანთას მოჰყვება.

ფასი გუჩის ახალ კოლექციაზე 500-დან 1800 დოლარამდეა. შეკვეთით შესრულებული ჩანთების ფასი კი 2500 დოლარიდან იწყება.

Christian Dior – ფირმა, რომელმაც შექმნა მოდა საკულტო ნიშნის აქსესუარებზე. მაგრამ რაც შეეხება "დიორის" ჩანთებს, ისინი სულ ცოტა ხნის წინ იქცნენ ფეტიშის საგნად.

პირველი სახელობითი ჩანთა Lady Dior 1990-იანების შუა ხანებში შექმნეს, როცა "კრისტიან დიორის" სახლის მთავარი დიზაინერი დახვეწილი აქსესუარებით განთქმული ჯანფრანკო ფერე გახდა. Lady Dior – ეს არის დალიანდაგებული კვადრატული ჩანთა, ორი მოკლე სახელურით. ჩანთა ნაპოლეონ III ეპოქის დროინდელი აქსესუარების მოტივებზეა შექმნილი. პირველი Lady Dior ქალბატონ შირაკს აჩუქეს. ამავე ჩანთით გამოჩნდა ხალხში პრინცესა დაიანა. ჩანთა საკულტო გახდა.

შემდეგ "დიორის" სახლის დიზაინერი ჯონ გალიანო გახდა. ჩანთის პირველი მოდელი, რომელიც მან შექმნა იყო Saddle. "სედლის" ჩანთებმა მაშინათვე დიდი ფურორი მოახდინა და უკვე შესაძლებელი გახდა "კრისტიან დიორის" ჩანთის ფენომენზე საუბარი. ეს არის უცნაური მოყვანილობის ჩანთა, რომელშიც შერწყმულია ერთმანეთის შეუფრებლად მიჩნეული სტილები. ეს არის უმაღლესი ხარისხის მასალებისგან შექმნილი ჩანთა. ყოველი დეტალის იუველირული სიზუსტით დამუშავება, მასალისა და ტექნოლოგიის უმაღლესი ხარისხი გარანტიაა იმისა, რომ რთული ფორმის და ამავე დროს ადვილად საცნობი ჩანთები, ნებისმიერ შემთხვევაში ფორმას ინარჩუნებენ. ყოველ სეზონზე ძველი კუმირის ახალი მოდიფიკაცია ჩნდება. საშემოდგომო სიახლეა Saddle-ის ახალი ჩანთა, რომლის ორ კონტრასტულ ტყავის არშიაზე, ორი უზარმაზარი ასო-ბალთა - C და D არის ჩამოკიდებული.

როგორც წესი, "კრისტიან დიორის" სახლი ტანსაცმლის კოლექციებთან ერთად სეზონურად ცვლის ჩანთებს. მაგრამ ამჯერად "დიორი" აცხადებს, რომ მისმა ჩანთებმა ტანსაცმლისგან დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყეს. ამის დასტურია "დიორის" ერთ-ერთი უკანასკნელი სიახლე Latest Blond, მიძღვნილი მერილინ მონროსადმი. ეს არის ჩანთა (ამ მოდელის ორი ვარიანტი გამოვიდა წითელი და შავი), მკვეთრი წაგრძელებული ხაზებით, ქამრებითა და ჯაჭვებით და რკალისებური მეტალის შესაკრავით. თუ მონროს სახელთან და "დიორის" ჩანთების ახალ იმიჯთან ზიარების სურვილი გაგიჩნდათ მაშინ, არც მეტი არც ნაკლები, 805-დან 1,750 დოლარამდე უნდა გაიღოთ.

ათეულები

კვირის ბესტსელერები გაზეთ "ნიუ იორკ თაიმსის" მიხედვით

	წიგნი	ავტორი	გამომცემლობა/ფასი $-ში	სიაში ყოფნის პერიოდი
1.	"და ვინჩის კოდი"	დენ ბრაუნი	"დაბლდეი", 24.95	25 კვირა
2.	[illegible]	[illegible]	[illegible], 27.95	4 კვირა
3.	[illegible]	[illegible]	[illegible], 27.95	2 კვირა
4.	[illegible]	[illegible]	[illegible] 24	1 კვირა
5.	BLINDSIDE	[illegible]	[illegible], 25.95	6 კვირა
6.	[illegible]	[illegible]	[illegible], 24.95	3 კვირა
7.	[illegible] "პრადა"	[illegible]	"დაბლდეი", 21.95	21 კვირა
8.	"საყვარელი ძვლები"	[illegible]	"ლიტლ", "ბრაუნ", 21.95	63 კვირა
9.	[illegible]	[illegible]	"დაბლდეი", 22.95	6 კვირა
10.	[illegible]	[illegible]	"დაბლდეი", 24.95	2 კვირა

კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემების მიხედვით

ფილმი/რეჟისორი	მსახიობი	ერთკვირის შემოსავალი $-ში	საერთო შემოსავალი $-ში
1. [illegible]	[illegible]	23,424,118	23,424,118
2. Matchstick Men [illegible]	[illegible]	13,087,307	13,087,307
3. [illegible]	[illegible]	8,633,585	8,633,585
4. [illegible]	[illegible]	5,042,028	12,871,357
5. [illegible]	[illegible]	4,506,400	287,884,372
6. [illegible]	[illegible]	4,061,689	101,971,030
7. Jeepers Creepers 2 [illegible]	[illegible]	3,019,860	31,863,481
8. Seabiscuit [illegible]	[illegible]	2,754,615	113,606,750
9. S.W.A.T. [illegible]	[illegible]	2,708,563	112,791,312
10. Open Range [illegible]	[illegible]	2,706,853	53,482,017

თანამედროვე როკის საუკეთესო ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

	შემსრულებელი	სიმღერა	წინა კვირის პოზიცია	ჩარტებში გატარებული კვირების პერიოდი
1.	[illegible]	So Far Away	2	13
2.	"ლინქინ პარკი"	Faint	1	19
3.	[illegible]	Weak And Powerless	4	6
4.	[illegible]	Show Me How To Live	6	13
5.	311	Creatures (For A While)	3	11
6.	[illegible]	Someday	7	6
7.	Evanescence	Going Under	9	13
8.	Smile Empty Soul	Bottom Of A Bottle	8	20
9.	[illegible]	The Boys Of Summer	5	15
10.	The White Stripes	Seven Nation Army	10	29

TV პროგრამა
20 სექტემბერი

რუსთავი - 2
08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ცხოველთა ომები **10.20** საბ.ფილმი „ჰერკულესის თავგადასავალი" **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** დოკ. სერიალი „ველური სამყაროს ამბები" **17.40** სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობა" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობა" **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.35** დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი „მაქსი" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ.ფ. „სხვისი წერილები" რეჟ: ილია ავერბახი. **02.20** მხ.ფილმი „ნაიარევი სახე". მთ. რ-ში: ალ პაჩინო, მიშელ პფაიფერი.

პირველი არხი
08.00, 15.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი „ჯონი მნემონიკი" **09.45** დოკ.სერიალი „ბუნების სამყაროში" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.20, 15.15** ჩოგბურთელ ქალთა საერთ. ტურნირი **16.00** კვალი **16.30** საქართველო, დრო, მოვლენები **17.00** საწინდარი **17.30** „ასე ვცხოვრობთ" **18.00** „ვესტნიკი" **18.40** „თბილისის დროით" **19.00** ისტორიანი **19.30** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.00** მოამბე **20.35** ცაიტნოტი **21.45** პრესეკრანი **22.15** ფორტუნა **22.50** პროფათეული **23.25** ამბობენ **00.05** მოამბე **00.20** მხ. ფილმი „ამელი" **02.20** ღამის ჯაზი .

პირველი სტერეო
09.00 მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ჯერი მაგუაიერი" მთ. რ-ში ტომ კრუზი, კიუბა გუდინგი(უმც). **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **19.50, 20.15** სველი ხაზი **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** „ბრავო" „გამოჩენილ ჯენტლმენთა ლიგა" მთ. რ-ში შონ კონერი, სტიუარტ ტაუნსენი. **01.50** „ლამურა" „ეჭვგარეშე" მთ. რ-ში კრისტოფერ რივი, ჯო მანტენია. **03.45** პაუზის გარეშე.

მეორე არხი
19.00 მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** გლობუსი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** დოკ. ფილმი **20.45** ვარსკვლავები გვამცნობენ **21.00** ოქტაგონი **22.00** წარსულის ტერიტორია **22.30** მხ. ფილმი „ფედერალური დაცვა".

კავკასია
12.00 მხ. ფილმი „ოცნების ზღვარი" **13.30** მხ. ფილმი „ნიკი, ეშმაკის შვილი" **15.00** მხ.ფილმი „მიზერი" **17.00** მხ. ფილმი „ლტოლვილი მატარებელი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი „ბრილიანტის პოლიციელი" **22.30** მხ. ფილმი „რაშია საქმე დოკ" **00.20** მხ. ფილმი „დარტყმის სიშორეზე".

იბერია
08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „ლამაზმანები" **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი „ის აქ არ იყო" **02.30** მუსიკა.

მეცხრე არხი
08.10 მხ. ფილმი „მხატვარი-1" **10.00** მულტსერიალი „კონკია" **10.30** სერიალი „პატარა აინშტაინები" **11.00** სერიალი „ინდიგოს მიწა" **12.00** დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები" **12.25, 14.15, 15.20, 16.20, 17.50, 22.05** მუსიკა **12.40** მხ. ფილმი „ოჯახი შენ წამართვი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ყვითელი კვადრატი" **15.30** სერიალი „გამანადგურებლები" **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე" **17.00** სერიალი „სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი „კონკია" **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები" **19.00** „საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი „ფაქტზე დაჭერა" **21.15** სერიალი „80 დღე დედამიწის გარშემო" მე-3ს. **22.15** „ტელემეტრი" **22.30** გადაცემა „ოლიმპი" **22.50** მოკლ.მხ.ფილმი „წერილები ტეხასიდან" **23.20** „ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი „ცეცხლში მიმავალნი".

იმედი
09.00 ქრონიკა **09.15, 12.20, 14.50, 17.50, 18.50, 01.50** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „იუდას ქალი" **10.20** ანიმაციური სერიალი „სუპერმენი" მე-5-7ს. **10.50** მხ. ფილმი „როისი" **12.30** სერიალი „რელიკვიების მაძიებელი" 1-ლი ს. **13.00, 15.00, 17.45, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.10** სერიალი „რელიკვიების მაძიებელი" მე-2 ს. **13.40** თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ" **15.15** მხ. ფილმი „იტალიელი საყვარელი" **17.00** ფეხბურთი. „დინამო"(თბილისი)- „სიონი"(ბოლნისი) **19.20** მხ. ფილმი „გაქცევა ნიუ-იორკიდან" **21.05** ქართ. სერიალი „ყავა და ლუდი" მე-2ს. **22.45** საღამოს ღიმილი **23.00** კლიპლოტო **23.00** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი. 1-ლი ტაიმი. **00.20** ქრონიკა **00.30** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი. მე-2 ტაიმი. **01.20** ერთხელ ჰოლივუდში.

აჭარა
08.00, 14.00, 18.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **09.10, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **09.20** მულტსერიალი **10.20** ფილმი-ზღაპარი „ლილიპუტები და გოლიათები" **11.55, 14.05** მუსიკა **12.20** ისტორიული ფილმი „სირანო დე ბერჟერაკი" **14.25** სათავგადასავლო ფილმი „ბეთჰოვენი" **16.20** მულტფილმი **17.30** სათავგადასავლო ფილმი „ბეჭდების მბრძანებელი" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **19.15, 22.30, 00.15** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **19.30** „ყველანი ვართ პატარები" **19.40** დოკუმენტური ფილმი **20.10** სათავგადასავლო ფილმი „ფათერაკების მაძიებელნი" **23.00** „ზ.თ" **23.10** Слово **00.25** „ქართული კინო" **02.30, 03.20** დოკუმენტური ფილმი **04.00** მელოდრამა „მელვინეთა წესი".

სოფი ლორენი – უკვდავი ქალი

დღეს სოფი ლორენის დაბადების დღეა

ნათია ვადაჭკორია

"როდესაც მეკითხებიან რას გრძნობთ, როცა თქვენზე ამბობენ ვარსკვლავიაო, არც კი ვიცი რა ვუპასუხო. უამრავი ჩემზე უკეთესი მსახიობი არსებობს. ალბათ, ვარსკვლავი ვერასოდეს ვიქნები" – ასე ამბობს, მართლაც, რომ ვარსკვლავი და შეიძლება, ითქვას უკვდავი ქალი - სოფი ლორენი.

ჩემი მშობლების თაობას თუ დავესესხები, ეკრანზე გამოჩენისთანავე ფილმში "ქორწინება იტალიურად" ელეგანტურმა, იტალიური ქალების მაგვარმა გრძელფეხება და გიტარასავით მოქნილი ტანის პატრონმა სოფიმ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. რასაკვირველია, ამგვარმა ფიზიკურმა მონაცემებმა, უდავოდ, განსაზღვრა მისი შემდგომი წარმატება, თუმცა მხოლოდ ეს არ კმარა, მისი დაუღალავი მუშაობაც ყველასთვის ცნობილია.

სოფია ბერძნულად სიბრძნეს ნიშნავს და, მართლაც, სოფი ლორენი საკუთარ ცხოვრებას ბრძნულად განაგებს. მან ხომ ყველაფრის განხორციელება შეძლო, რაზეც ნებისმიერი ქალი ოცნებობს – წარმატებული კარიერა, ბედნიერი ქორწინება და დედობა!

პირველი წარმატებიდან, როდესაც ნეაპოლიტანელი 15 წლის გოგონა, სინიორა შიკოლონე სილამაზის კონკურსში იმარჯვებს და "ზღვის პრინცესა" ხდება, მრავალი წელი გადის და ვერავინ იფიქრებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მის მაგივრად საზოგადოებას სრულიად სხვა მანდილოსანი – სოფი ლორენი წარმოუდგება. თუმცა, არავინ იცის როგორ წარიმართებოდა მისი კარიერა ერთ მშვენიერ დღეს სინიორა პონტი რომ არ გამხდარიყო.

სოფის დედას, წარუმატებელ, პროვინციელ მსახიობს უიღბლობა მუდამ თან სდევდა, იგი, ამავდროულად, მარტოხელა დედაც იყო. გოგონას მამა ბავშვის დედაზე არც დაქორწინებულა.

15 წლის გამხდარი და საკმაოდ უსახური გოგონა კი თანდათან საკმაოდ მიმზიდველ და დასრულებულ ქალს ემსგავსებოდა. 1949 წელს მიღებული პრიზის – "ზღვის პრინცესად" წოდებულ სოფიას ერთი წლის შემდეგ კვლავ წარმატება ხვდა წილად, იგი "მის მომხიბვლელობის" ტიტულს რომში მოიპოვებს. მაგრამ მოგეხსენებათ, წარმატება რაოდენ სწრაფადაც მოდის, ისევე სწრაფად უჩინარდება. ფულადი პრემიები, საჩუქრები, საღამოს კაბები, ფოტოები პრესტიჟული ჟურნალების ყდებზე წარმავალია. ამის შემდეგ იწყება ზრუნვა ახალ წარმატებაზე, რომელიც მხოლოდ დაუღალავი შრომის შედეგად მოდის. დედასთან ერთად სოფი მთელ დღეებს პროდიუსერთა მისაღებში ატარებს და ერთხელაც წვრილ-წვრილ როლებს დიდი ღლავი მოჰყვა ფილმით – "აფრიკა ზღვის ქვეშ".


სოფი ლორენი ჯიორჯიო არმანისთან ერთად
REUTERS

- თქვენ მთავარ როლზე დაგამტკიცეს, - ჩაილაპარაკა ფილმის პროდიუსერმა - მაგრამ თქვენი გვარი არ მომწონს, შიკოლონე რაღაც ვულგარულად ჟღერს და არაფრად არ ვარგა. უცებ პროდიუსერს სახე გაებადრა და მზერა კედელზე ჩამოკიდებული პლაკატისკენ მიმართა, რომელზეც მსახიობი ქალი, ვინმე მარტა ტორენი იყო გამოსახული. პროდიუსერმა გვარს ანბანის მიხედვით სხვადასხვა ასოთა შეხამება დაუწყო. ჯერი ლ-ზე მიდგა. ამგვარად მოევლინა კინო სამყაროს სოფი ლორენი. უფრო სწორად, მხოლოდ სახელი დაიბადა, თორემ ნამდვილი არტისტის და ვარსკვლავის დაბადებას ბევრი რამ აკლდა. ვარსკვლავობას სილამაზის, ნეაპოლიტანური ტემპერამენტის, ამბიციების, ნებისყოფის, თავმოყვარეობის და სხვა დადებითი თვისებების გარდა ერთი და უმნიშვნელოვანესი რამ აკლდა – იღბალი. სწორედ ეს "იღბალი" აღმოჩნდა სოფი ლორენისთვის ვიტორიო დე სიკა.

1955 წელი სოფი ლორენის წლად აღიარეს. მან პოპულარობით თავის კონკურენტებს სილვანო მანგანოს და ჯინა ლოლობრიჯიდას გადაუსწრო. 1956 წელს ამერიკაში გამგზავრებამ უსაზღვრო წარმატება მოუპოვა. სტენლი კრამერმა სოფი თავის ფილმში – "სიამაყე და ვნება" მიიწვია. ამის შემდეგ მასთან 4 წლით დადეს კონტრაქტი, რასაც 12 ფილმი და 2 მილიონი დოლარი მოჰყვა.

ამერიკიდან დაბრუნებული, მდიდარი და დამოუკიდებელი სოფი ლორენი პროდიუსერ კარლო პონტის მეუღლე ხდება და პარალელურად ვიტორიო დე სიკასთან იწყებს მუშაობას, რომელიც იმხანად ალბერტო მორავიას "ჩოჩარას" გადაღებას აპირებს. როლები უკვე განაწილებული იყო, ჩეზირას როლზე ანა მანიანი განიხილებოდა, ხოლო მისი ქალიშვილის როლზე – სოფი ლორენი. თუმცა ანა მანიანიმ სასტიკი უარი განაცხადა ამ როლზე და თავისი უარი კინოს ისტორიაში შესული ფრაზით გაამყარა – "ნუთუ ასეთი უსახურის დედა უნდა გავხდე?" დე სიკა მანიანის დაყოლიებას ცდილობდა, თუმცა ამაოდ. "მომისმინე ვიტორიო, თუ ასე ძალიან მოგწონს ეგ შენი ლორენი, დედის როლი მაგასვე მიეცი" – მოთმინებადაკარგულმა წამოიძახა ანა მანიანიმ. ირონიით წარმოთქმული ეს ფრაზა სოფი ლორენისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ამგვარად დაიწყო დე სიკა - ლორენის ეპოქა, რომელსაც "ჩოჩარას" ამერიკული ოსკარი და იტალიაში ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის "ვერცხლის ბაფთა" მოჰყვა.

თუმცა, ყველა ნორმალური ქალისთვის მხოლოდ კარიერა, რაც არ უნდა წარმატებული იყოს იგი, მაინც არ კმარა, სოფის შემთხვევაშიც ყველაფერი ამგვარად იყო. უმამო სოფი მთელი ცხოვრება ისეთ ადამიანზე ოცნებობდა, რომელიც ნამდვილი ოჯახის შექმნაში გვერდით ამოუდგებოდა და მასზე დაყრდნობაც შესაძლებელი იქნებოდა. ამგვარი პარტია ოცი წლის სოფისთვის არც ისე ახალგაზრდა, მილანელი ადვოკატი და ამავე დროს ფილმმწარმოებელთა ასოციაციის "პონტი-დე ლაურენტისის" მეთაური კარლო პონტი აღმოჩნდა.

რადგან პონტი უკვე დაქორწინებული გახლდათ და იტალიაში განქორწინების შესახებ კანონი ჯერ არ ფუნქციონირებდა, ლორენმა და პონტიმ 1957 წელს მექსიკაში მოაწერეს ხელი. მათი შეუღლების შემდგომი 10 წლის მანძილზე კარლო პონტის განქორწინების პროცესი მიმდინარეობდა თავის ყოფილ მეუღლესთან (ალბათ, წარმოგიდგენიათ მაშინდელი პრესა როგორ გაიხარებდა). მხოლოდ 1966 წელს შეძლეს მეუღლეებმა თავიანთი თანაცხოვრების დაკანონება უკვე "მეორედ". სამი წლის შემდეგ ოჯახს პირველი ვაჟი შეეძინა, ოთხი წლის შემდეგ კი უკვე მეორე, მიუხედავად იმისა, რომ ექიმები ფეხმძიმობის შეწყვეტას ურჩევდნენ მომავალ დედას, რაც მას, შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა. ოჯახმა სოფის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა და რომ არა მეუღლის დაჟინებული მოთხოვნა, სამსახიობო კარიერასაც მიატოვებდა.

70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მსახიობის წარმატებამ იკლო, კარლო პონტის იდეის თანახმად სოფი ლორენმა ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერა "ცხოვრებაში და სიყვარულში", რომელსაც სათანადო სარეკლამო კამპანია უძღოდა წინ და არნახულ წარმატებასაც მიაღწია.

ყოველდღიურობაში კი სოფი ლორენი დილის 6 საათსა და 30 წუთზე ყავას მიირთმევს, თავის ორ შვილს – პიანისტ კარლოს და ედუარდოს მიესიყვარულება, შემდეგ საუზმეს ამზადებს (სხვათაშორის, სოფი მშვენიერი მზარეულია) და ფილმების სცენარებს კითხულობს.

მისი სამომავლო გეგმები გაინტერესებთ? სოფი ლორენის ცხოვრებაში ყველაფერი კარგად მიდის. თუმცა, ისეც ხდება ხოლმე, რომ პორტვეინის წრუპვის შემდეგ სოფია ჩურჩულს იწყებს – "ხანდახან ისეთი პატარა, სუსტი და ეჭვიანი მგონია საკუთარი თავი ... მამა-მია".

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება იქვე ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 27 ნოემბერი.

MBA — მარკეტინგი / ფინანსები / IT / ელექტრონული კომერცია / HRM / პროექტის მენეჯმენტი
MSc — საინფორმაციო ტექნოლოგიები / კომპიუტერული სისტემის ინჟინერია / ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £3950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 6950. 3-წლიანი კურსის ინჟინრის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით ისწავლიან, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI).
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში. დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია
მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223.
ტელ: 32 97 83

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი "მზიური" აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში.
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
ტელ: 29 48 61, 95 45 75, 91 03 17

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.